კვირა, 24 სექტემბერი 1917 წ. ფასი 10 კაპ.

# ბრძოლა

რუსეთის სოციალდემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

გაზეთი ჯერ-ჯერობით გამოვა კვირაში ერთხელ. კორესპონდენციები და ფული უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: Тифлисъ, Георгіевская ул. № 1, Ред. газ. „Кавк. Рабочій", для „Брдзолы"
გაზეთი ღირს წლის ბოლომდე 2 მ. 50 კ., სამი თვით 1 მ. 20 კ., 1 თვით 40 კ.
განცხადებები დაიბეჭდება მხოლოდ უკანასკნელ გვერდზე და სტრიქონი პეტიტის ღირს 10 კ.

№ 17 რუსეთის სოც.-დემ. მუშათა პარტიის (უმრავლესობის) თბილისის კომიტეტის ორგანო № 17

# კავკასიის საოლქო სიეზდი

რ. ს.-დ. მ. პ. (ბოლშევიკებისა),

**რომელიც დანიშნული იყო 15 სექტემბრისათვის, გადაიდო ამ წლის 1 ოქტომბრამდე.**

სიეზდის მომწვევი ორგანიზაციული ბიურო სთხოვს ყველა ინტერნაციონალურ ორგანიზაციებს რ. ს.-დ. მ. პ.

# მოემზადონ სიეზდისათვის.

# კავკ. საოლქო სიეზდი.

(ბოლშევიკების).

რუსეთის ს.-დ. მ. პ. (ბოლშევიკების) აპრილის კონფერენციაზე გამოთქმული სურვილის და აგვისტოს პარტიული სიეზდის დადგენილების თანახმად, ბაქოს დელეგატის წინადადებით 22 აგვისტოს სხდომაზე თფილისის კომიტეტმა მსჯელობა იქონია სიეზდის მოწვევის შესახებ და გადაწყვიტა:

1) კავკასიის საოლქო სიეზდი მოწვეული იქნას 1 ოქტომბრისთვის ქ. თფილისში.

2) წარმომადგენლობა სიეზდზე შემდეგი წესით მოხდეს:

ორგანიზაციას, რომლის წევრთა რიცხვი 100—300-მდე აღწევს, უფლება ეძლევა აირჩიოს სიეზდისთვის ერთი დელეგატი გადამწყვეტი ხმის უფლებით;

3) წვრილი ორგანიზაცია, რომლის წევრთა რიცხვი 100-ზე ნაკლებია, ირჩევს თავის დელეგატს მხოლოთ სათათბირო ხმის უფლებით.

4) ასეთივე უფლებით ისარგებლებს ყველა ეგრეთ წოდებული „შეერთებული" ორგანიზაცია, რომელიც კი სიეზდზე მონაწილეობის მიღების მსურველი იქნება, მას შეუძლია თავისი დელეგატი გამოგზავნოს სიეზდზე, რომელსაც მხოლოთ სათათბირო ხმის უფლება ექნება.

5) სიეზდზე მოწვეულია სათათბირო ხმის უფლებით აგრეთვე ინტერნაციონალისტები, რომელიც პროფესიონალურ კავშირებში მოღვაწეობენ.

ყველა ხარჯები, რაც კი დაჭირდება დელეგატს, უნდა გაიღოს იმ ორგანიზაციამ, რომლის წარმომადგენლათ იგი ითვლება.

კომიტეტმა მომავალი კავკასიის საერთო სიეზდისთვის შეიმუშავა დღის შემდეგი წესრიგი:

1) მოხსენება საერთო პარტიულ სიეზდზე და პარტიულ ცენტრზე.

2) მოხსენებები ადგილობრივი წარმომადგენლებისაგან.

3) მიმდინარე მომენტი.

4) დამფუძნებელი კრება.

5) ორგანიზაციული კითხვა.

6) ნაციონალური საკითხი.

7) პარტიის პრესაზე.

8) აგრარული საკითხი.

9) არჩევნები.

10) სხვა და სხვა.

ამის შემდეგ კრებამ აირჩია საორგანიზაციო ბიურო, რომელსაც ევალება სიეზდის მოწვევის საქმის მოწყობა. ბიუროს წევრებათ არჩეულ იქნენ: ამხანაგს ქ-ვთარაძე, ს. კასიანი, მრავიანი, მალ. ტოროშელიძე და მიშა ოკუჯავა.

მოხსენების წაკითხვა დაევალათ: მიმდინარე მომენტზე—ამხ. მიხა ცხაკაიას, დამფუძნებელ კრებაზე—გ. ნაზარეტიანს, ნაციონალურ საკითხზე—ს. შაუმიანს და მ. ტოროშელიძეს, აგრარულ საკითხზე—ფ. მახარაძეს.

ამას გარდა ბაქოს ამხანაგები აირჩევენ საკუთარ ბიუროს, რომელიც დახმარებას გაუწევს თფილისისას და მოაწყობს სიეზდის არჩევნებს ბაქოს გუბერნიასა და ჩრდილო კავკასიაში.

# დემოკრატიული თათბირი.

3—5 ივლისის ამბების შემდეგ დროებითმა მთავრობამ მოიწვია მოსკოვში ეგრეთ წოდებული სახელმწიფო თათბირი, რომლის პირდაპირი შედეგი კორნილოვის კონტრ-რევოლიუციონური გამოსვლა შეიქნა. კორნილოვის გამოსვლამ თავის მხრით გამოიწვია დემოკრატიული თათბირის მოწვევა პეტროგრადში. ასეთია ერთი მთავარი განსხვავება ამ ორ თათბირს შორის, მაგრამ ეს უფრო გარეგანი მხარეა. ამ ორი თათბირის შინაარსიც, იმათი იდეაც სულ სხვადასხვაა. მოსკოვის თათბირზე განზრახ თავს უყრიდენ კონტრ-რევოლიუციონურ ელემენტებს და ჯგუფებს, იქ წერეთლის და კადეტების წარმომადგენლის ხელის ჩამორთმევა ტაშს იწვევდა. პეტროგრადის დემოკრატიული თათბირის მთავარი დანიშნულება კი კონტრ-რევოლიუციასთან ბრძოლა იყო, ერთი მხრით, და ბურჟუაზიასთან ყოველივე კავშირის გაწყვეტა მეორე მხრით.

ამნაირათ მოსკოვის თათბირი—ეს პირდაპირ კონტრ-რევოლიუციონური საქმე იყო თავის დასაწყისშივე და ესეთივე დარჩა ის ბოლომდე. პირიქით, პეტროგრადის დემოკრატიული თათბირი კი გამოიწვია კონტრ-რევოლიუციასთან ბრძოლამ. პირველის სულის ჩამდგმელი იყო დროებითი მთავრობა კერენსკის და წერეთლის მეთაურობით. მას აზრათ ქონდა კონტრ-რევოლიუციონურ ბურჟუაზიასთან და მემამულეებთან მჭიდრო კავშირის შექმნა ერთი მხრით და რევოლიუციონური პროლეტარიატის დატუქსვა და შებოჭვა მეორე მხრით. მეორეს—პეტროგრადის დემოკრატიულ თათბირს—იწვევს დემოკრატიული ორგანიზაცია, რევოლიუციონური ორგანო, სიტყვით მაინც, თუ საქმით არა, ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი იმ მიზნით, რომ კონტრ-რევოლიუციონურ ბურჟუაზიასთან შეწყვეტილ იქნას ყოველივე კავშირი და შეთანხმება მთავრობის შედგენის საქმეში ერთი მხრით და სამაგიეროთ დაახლოვება უნდა მოხდეს რევოლიუციონურ დემოკრატიასთან მეორე მხრით.

ასეთ დასკვნამდე ცენტრალურ აღმასრულებელი კომიტეტი, რომლის დიდ უმრავლესობას მენშევიკები და ესერები შეადგენენ, მიიყვანა ულმობელმა ფაქტებმა. შეთანხმება და კავშირი ბურჟუაზიასთან, კოალიციონური სამინისტრო რამდენიმე ჯერ გაკოტრდა ზედი ზედ; ვერავითარი შემოქმედებითი ძალა ვერ გამოიჩინა იმ მთავრობამ, რომელშიაც შედიოდენ „სოციალისტები", ერთი მხრით, და კაპიტალისტები და მემამულეები მეორე მხრით. ეს ერთი; მეორე მხრით დამტკიცდა, რომ ბურჟუაზია აშკარა კონტრ-რევოლიუციონურ მოღვაწეობას ეწევა, მან ჩაუდგა სული და მოამზადა კორნილოვშჩინა და თუმცა ამ ხნობით ნაპრალში წაიქცა, მაგრამ იარაღს არყრის და მუდამ რევოლიუციას ებრძვის. ერთი სიტყვით კოალიციონურმა სამინისტრომ და ამ სამინისტროს სულის ჩამდგმელებმა თავისი პოლიტიკით კერენსკიმ, წერეთელმა და სხვებმა რევოლიუცია საფრთხეში ჩააგდეს. და როცა ეს ფართო დემოკრატიული წრეებისთვის აშკარა შეიქნა, მაშინ მენშევიკებმაც და ესერებმაც უარყვეს კოალიციის პრინციპი მთავრობის შედგენაში და თითქმის ერთხმათ მოითხოვეს მთავრობის შედგენა დემოკრატიისაგან. ეს იყო უარყოფა იმ პრინციპის, რომელიც მოწონებული იქნა მოსკოვის თათბირზე, სადაც „ცოცხალ ძალებს" სახით მიღებული იქნა დემოკრატიის და კონტრ-რევოლიუციონური ბურჟუაზიის კავშირი. ამ რიგათ მოსკოვის სახელმწიფო თათბირის წინაამდეგ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტები ღებულობენ გადაწყვეტილებას მოწვეულ იქნას დემოკრატიული თათბირი, რომელმაც უნდა შეადგინოს ახალი მთავრობა სულ სხვა საფუძველზე. ეს გადაწყვეტილება ეწინააღმდეგებოდა როგორც მოსკოვის თათბირის მიერ მოწონებულ პრინციპს (კოალიციას), ისე კიდევ უფრო თვით დროებითი მთავრობის სულის ჩამდგმელს და მის თავმჯდომარეს ბ-ნ კერენსკის შეხედულებას. ამ უკანასკნელმა აღარ დაუცადა თათბირის შეკრებას; მან დამოუკიდებლათ შეადგინა ახალი მთავრობა ისევ წინანდელ საფუძველზე; ეს „ახალი" მთავრობაა დირექტორია ხუთი პირისაგან შემდგარი, არავის წინაშე პასუხისმგებელი არ არის, ეს ნამდვილი დიქტატურა, გარეგნობით ერთი პიროვნების, კერენსკის, ნამდვილათ კი ეს არის კაპიტალისტური ბურჟუაზიის დიქტატურა, რომლის საფარს ისევ ბ-ნი კერენსკი წარმოადგენს.

კერენსკიმ, რა თქმა უნდა, კარგათ იცოდა, თუ რისთვის იწვევდა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი დემოკრატიულ თათბირს, მიუხედავათ ამისა მან ეს არაფრათ ჩააგდო; მან დაწიხლა და ფეხქვეშ გათელა დემოკრატიის გადაწყვეტილება.

როგორ-და შეხვდა კერენსკის ნაბიჯს ცენტრ. აღმ. კომიტეტი ბბ. ჩხეიძეების და წერეთლების მეთაურობით? რა თქმა უნდა, იმათთვის კერენსკის ახალი თავდასხმა დემოკრატიაზე პირდაპირ მოულოდნელი იყო, ეს ერთი. მეორე მხრით ცენტრ. აღმ. კომიტეტს არ შეეძლო არ დაენახა რომ კერენსკიმ მას ნამდვილათ ბრძოლა გამოუცხადა, კიდევ უარესი, რომ ამ ვაჟბატონმა მას პირდაპირ პირში ჩააფურთხა. სამწუხაროთ ცენ. აღმ. კომიტეტმა ვერ გამოიჩინა იმდენი გამბედაობაც კი, რომ ამ შეურაცყოფაზე შესაფერი პასუხი გაეცა და კერენსკის ნაბიჯი ანტიდემოკრატიულათ გამოეცხადებინა. ცენტრ. კომიტეტმა, ე. ი. მისმა უმრავლესობამ, რომელიც მენშევიკებისა და ესერებისაგან შესდგება, ამ შემთხვევაში გაჩუმება არჩია. ამაში კვლავ გამოჩნდა ესერების და მენშევიკების მხრით ხელახალი გადახრა მარჯვნივ, ე. ი. ბურჟუაზიასთან შეთანხმებისაკენ. მართლაც ამას შემდეგ ცენ. აღმ. კომიტეტი, მენშევიკები და ესერები რამდენიმეთ უკვე სხვა ენით ლაპარაკობენ კონტრ-რევოლიუციონურ ბურჟუაზიის შესახებ. ისინი უნდობლობას უცხადებენ განსაკუთრებით კადეტების პარტიას, რომელიც პირდაპირ მონაწილეობას ღებულობდა კორნილოვის კონტრ-რევოლიუციონურ აჯანყებაში და იმავე დროს შესაძლებლათ თვლიან დანარჩენ ბურჟუაზიულ წრეებთან კავშირის დაჭერას და შეთანხმებას მთავრობის შედგენაში.

აქედან აიხსნება ის გარემოება, რომ დემოკრატიული თათბირის შემადგენლობა, რომელიც რევოლიუციონურ დემოკრატიულ ორგანიზაციებიდან უნდა ყოფილიყო შემდგარი, შემდეგში იმდენათ იქნა შეცვლილი, რომ წარმოდგენილ იქნენ პირდაპირ კონტრ-რევოლიუციონური ბურჟუაზიული ჯგუფები და ელემენტები. და აი ჩვენ ვხედავთ, რომ ამ დემოკრატიულ თათბირზე, რომელსაც ბ-ნი კერენსკი საბრალმდებლო სკამზე უნდა დაესვა და პასუხი მოეთხოვა თავის მოღვაწეობაში, ამ ვაჟბატონს თათბირის დიდი უმრავლესობა, ერთი მხრით მენშევიკები და ესერები, მეორე მხრივ ბურჟუაზიის წარმომადგენლები, ტაშის ცემით და ოვაციებით ეგებებიან. ამნაირათ პეტროგრადის დემოკრატიული თათბირი იღებს მოსკოვის თათბირის სახეს. იგი ამართლებს და აღტაცებით ეგებება იმ პოლიტიკას, რომელმაც რევოლიუცია და დემოკრატია საფრთხეში ჩააგდო, რომელმაც ვერ შეძლო ვერც ერთი ძირითადი საკითხის გადაჭრა: პირიქით, ამ პოლიტიკამ კიდევ უფრო გაამწვავა ყველა ეს საკითხები, საკვირველია, რომ ვერც ისტორიამ, ვერც ცოცხალმა გამოცდილებამ ამ ვაჟბატონებს ვერაფერი ასწავლა. ქვეყანა იღუპება,—აცხადებენ ბ-ნი ჩხეიძეები და წერეთლები, და იმის მაგიერ, რომ თავიანთი ტაქტიკა შესცვალონ, იმის მაგიერ, რომ უარყონ ბურჟუაზიასთან ერთათ სიარული, ისინი ისევ ძველი გზით გვპირდებიან კატასტროფის თავიდან აცილებას.

დასკვნა ასეთია: ვერავითარი თათბირი, ვერავითარი ლაპარაკი საქმეს ვერ უშველის. საჭიროა, დემოკრატია საქმეს შეუდგეს და გააძევოს სახალხო ტაძრიდან თვალმაქცები და ფარისევლები, რომლებიც ხალხს ლამაზი ფრაზებით ატყუილებენ, ნამდვილათ კი მას ღალატობენ.

ფ. მახარაძე.

# ჩვენ მოვითხოვთ.

საათობით და წუთობით იცვლება დღეს ცხოვრება. მოსკოვის თათბირს,—რიგის დამხობა და რეპრესიები მოჰყვა. როცა დამტკიცდა სიცრუე და სიყალბე ყველა გავრცელებულ პროვოკაციონულ ხმების: ფრონტზე სალდათების „ღალატისა" და „ბოლშევიკების შეთქმულობის" შესახებ, ხელმეორედ შემოღებულ იქმნა რეპრესიები და რევოლიუციის დატუქსვის ახალი საშუალებანი. კონტრ-რევოლიუციონურ შეთქმულობის წინასწარ გამოაშკარავებას, კორნილოვის შავრაზმული გამოსვლა მოჰყვა. იგი მოითხოვდა დროებით მთავრობის გადაყენებას და სამხედრო დიქტატურის შემოღებას. ამასთანავე მილიუკოვის პარტიის, კადეტების წარმომადგენლნი, როგორც ეს ივლისის დღეებში ჩაიდინეს მათ, სამინისტროდან გავიდენ და ამით კორნილოვის შეთქმულებას აშკარათ ხმარი დაუჭირეს კადეტების ამნაირ ვერაგობას თან დაერთო: კორნილოვის პეტროგრადზე გალაშქრება, შემდეგ იმისი დამარცხება და მთავარსარდლობიდან გადაყენება. ხელახლათ შეიქმნა მთავრობის კრიზისი. კადეტების სამინისტროდან გასვლის შემდეგ, როცა ცხადათ დამტკიცდა კადეტების მონაწილეობა კორნილოვის შეთქმულობაში, ცხადი იყო მათ ადგილი აღარ ჰქონდათ მთავრობაში და შესდგა ეგრეთ წოდებული რევოლიუციონური დირექტორია. მაშ ასე:

კონტრ-რევოლიუციას „ბოლშევიკური შეთქმულობა" იმ სათვის დასჭირდა მოეგონა, რომ კორნილოვს, რომელიც პეტროგრადზე ვითომდა „ბოლშევიკების დასასჯელათ" მიდიოდა, გზა ხსნილი ჰქონოდა და თავისი კონტრ-რევოლიუციონური განზრახვა სისრულეში მოეყვანა.

ფაქტია, რომ მთელი ბურჟუაზიული პრესა, როგორც მაგალითათ: „რუსკაია ვოლია," „ბირჟევკა" „ნოვაია ვრემია" და სხვები, აგრეთვე „რეჩი", შეელოდა, ხელს უწყობდა კორნილოვს და თავგამოდებით ავრცელებდა „ბოლშევიკების შეთქმულობის" შესახებ ყოველნაირ ცრუ ხმებს.

ფაქტია, რომ რევოლიუციაზე კორნილოვის გალაშქრება,—ეს გაგრძელებაა იმ კონტრ-რევოლიუციონური მუშაობის, რომლის წყალობით რუსეთის ჯარის კონტრ-რევოლიუციონურმა სარდლებმა და გენერლობამ ჯერ ისევ ივლისში ტარნოპოლი, შემდეგ კი აგვისტოში რიგა დაუთმეს ნემცებს, რომ ფრონტზე „დამარცხება" კონტრ-რევოლიუციის გასამარჯვებლათ გამოეყენებიათ.

ფაქტია, რომ კადეტების პარტია ეხლაც, როგორც ივლისში, ფრონტზე მოღალატეთა ბანაკშია მოთავსებული და ზურგშიაც უძღვეს კონტრ-რევოლიუციონურ საქმეს ემსახურება.

ჩვენი პარტია ათასჯერ მართალი იყო, როცა ამტკიცებდა, რომ ბურჟუაზიული კონტრ-რევოლიუციის სულის ჩამდგმელი, ეს კადეტებიაო.

ჩვენი პარტია მართალი იყო, როცა ჯერ ისევ ივნისის პირველ რიცხვებში კონტრ-რევოლიუციასთან ხელაღებით ბრძოლას მოითხოვდა და საჭიროთ თვლიდა დაეპირათ კონტრ-რევოლიუციონერობაში შემჩნეული პირნი, როგორც კალედინი და სხვები არიან.

კონტრ-რევოლიუცია არც გუშინდელი დღიდან დაწყებულა და არც კორნილოვის შეთქმულობიდან. ის დაიწყო ივნისიდან, როცა მთავრობამ ფრონტზე შეტევა გამოაცხადა და რეპრესიების შემოღების პოლიტიკის გზას დაადგა; როცა კონტრ-რევოლიუციონურმა გენერლებმა ტარნოპოლი დასცალეს და ფრონტზე დამარცხება სალდათებს გადააბრალეს, რომ სალდათების სიკვდილით დასჯა აეკანონებიათ; როცა ჯერ ისევ ივლისში კადეტები სამინისტროდან გაიქცნენ და მოკავშირე სახელმწიფოთა კაპიტალის წყალობით დროებით მთავრობაში თავიანთი პირველობა განამტკიცეს; და ბოლოს, როცა ცენტრალური აღმასრულებელ კომიტეტის ბელადებმა მენშევიკებმა და ესერებმა, იმის მაგივრათ, რომ კადეტებთან შეეწყვიტათ ყოველ გვარი კავშირი და შეერთებოდენ ივლისის დემონსტრანტებს, თავიანთი მახვილი მუშებსა და სალდათების წინააღმდეგ მოიხმარეს.

ეს ფაქტია, რომლის უარის-ყოფა ყოვლათ შეუძლებელია.

კოალიციონურ მთავრობასა და კორნილოვის პარტიას შორის დაწყებულ ბრძოლაში რევოლიუცია და კონტრ-რევოლიუცია კი არ უპირდაპირდება ერთმანეთს, არამედ კონტრ-რევოლიუციონური ორი სხვა და სხვა მეტოქი; ამასთანავე პარტია კორნილოვისა არის ის დაუძინებელი მტერი რევოლიუციის, რომელიც პეტროგრადზე გალაშქრებისა და ძველი წესწყობილების აღდგენის გულისათვის, რიგის დაკარგვასა და ფრონტის გახსნასაც კი არ მოერიდა.

მუშები და სალდათები ყველა-გვარ რევოლიუციონურ საშუალებას იხმარებენ და კორნილოვის კონტრ-რევოლიუციონურ შაიკას არ დაუშვებენ, რომ რევოლიუციონურ პეტროგრადს დაეპატრონოს.

მუშები და სალდათები რევოლიუციის მტრებს ნებას არ მისცემენ, რომ მათ თავიანთი ბინძური ხელებით რუსეთის დედა ქალაქი გააჭუჭყიანონ.

ესენი თავიანთი მკერდით დაიცავენ რევოლიუციის წითელ დროშას.

მაგრამ მუშები და სალდათები იმიტომ კი არ დაიცავენ ამ დროშას, რომ ერთი დიქტატურის მაგიერ, მათთვის უცხოა ახლა სხვა მეორე დიქტატორი გამეფონ, არამედ იმიტომ, რომ რუსეთის რევოლიუციას ფართო გზა გაუხსნან, სრული გამარჯვება მიანიჭონ.

ეხლა, როცა მთელი მხარე ომისა და შიმშილისაგან თითქმის დაღუპვის კარამდე მისული და კონტრ-რევოლიუ-

ნერების ყორნების ჩხავილი რუსეთის რევოლიუციას სამარის გათხრას უქადიან, რევოლიუციამ უნდა მოიკრიბოს მთელი თავისი ძალ-ღონე და უნდა ქვეყანა დაფუშვასა და გაჭირვებას გადაარჩინოს.

ზედმეტია ახლა—ერთი რომელიმე „მართველ“ ჯგუფის მეორით შეცვლა, ან რაიმე დიქტატურის შემოღება, არამედ საჭიროა ბურჟუაზიული კონტრ-რევოლიუციის სრული ლიკვიდაცია და რუსეთში მცხოვრებ მრავალ ხალხთა ინტერესების დაკმაყოფილება.

ამ მიზნით ჩვენი პარტია მოითხოვს:

1) დაუყონებლივ დათხოვნილ იქმნან ფრონტზე და ზურგში ყველა კონტრ-რევოლიუციონური გენერლები, ხოლო მათ ადგილას დაინიშნოს სალდათებისა და აფიცრებიდან ამორჩეულნი პირნი, საერთო დემოკრატიული ჯარის შესაქმნელათ მოხდეს არჩევნები დაწყებული ძირიდან თავამდე.

2) აღდგენილ უნდა იქმნეს სალდათთა რევოლიუციონური ორგანიზაციები, რომელთაც მარტოთ შეუძლიათ დაამყარონ ჯარში დემოკრატიული დისციპლინა,

3) მოისპოს ყოველ გვარი რეპრესიები და პირველ ყოვლისა სიკვდილით დასჯა.

4) დაუყონებლივ გადავიდეს გლეხთა კომიტეტების განკარგულებაში ყველა მსხვილ მემამულეთა მიწები და მასთან ღარიბ გლეხ-კაცთ ინვენტარიც მიეცესთ.

5) კანონმდებლობის სახით შემოღებულ იქმნას 8 საათის სამუშაო დღე, აგრეთვე დაწესდეს დემოკრატიული კონტროლი ფაბრიკა—ზავოდებზე, ბანკებზე, ისე, რომ ამ გვარ ორგანიზაციებში მუშათა წარმომადგენლნი სხვებსა სჭარბობდნენ.

6) სრული დემოკრატიზაცია ფინანსიურ მეურნეობისა და პირველ ყოვლისა—დაუზოგველი გადასახადების შეწერა კაპიტალსა და ქონებაზე.

ამასთანავე პარტია მოითხოვს მთელი სამხედრო მოგების კონფისკაციას, რომელიც კაპიტალისტებს ომის დროს შეუძენიათ.

[illegible]) ქალაქსა და სოფელს შორის აღებ-[illegible]მობის ორგანიზაციულათ მოწეს[illegible]ბას, ისე რომ ქალაქმა სოფელს რიგ[illegible]აწოდოს ფართლეულობა და სხვა სა[illegible]ლი, ხოლო სოფელმა კი ქალაქს—[illegible] და სანოვაგე.

[illegible] რუსეთში მცხოვრებ სხვა და სხვა [illegible] დაუყონებლივ უნდა მიენიჭოთ [illegible]ვითგამორკვევის სრული უფლება.

[illegible] და აღდგენილ იქმნას თავისუფ[illegible] [illegible]მოცხადდეს დეკრეტით დემო[illegible] რესპუბლიკა, და დაუყონე[illegible]ულ იქმნას დამფუძნებელი კრება.

10) უნდა გამოაშკარავდეს მოკავშირე სახელმწიფოებთან დადებული საიდუმლო ხელშეკრულობა და შეტანილ იქმნას წინადადება საერთო დემოკრატიული ზავის ჩამოგდების შესახებ.

პარტია აცხადებს, რომ ყველა ზევით ჩამოთვლილ მოთხოვნილებების აუსრულებლათ შეუძლებელია რევოლიუციის ხსნა და ომით და შიმშილით გამოწვეულ უბედურების თავიდან აცდენა.

პარტია აცხადებს, რომ ერთათ ერთი გზა რევოლიუციის გასამარჯვებლათ და აქ ჩამოთვლილი მოთხოვნილების სისრულეში მოსაყვანათ არის კაპიტალისტებთან კავშირის სრულიათ გაწყვეტა, ბურჟუაზიულ კონტრ-რევოლიუციის სრული ლიკვიდაცია და რევოლიუციონურ მუშებისა, გლეხების და სალდათების ხელში მთელი ძალა-უფლების გადასვლა.

აი, ის ერთათ ერთი გამოსასვლელი გზა, რომელიც რევოლიუციას და ქვეყანას დაიხსნის დაღუპვისაგან.

---

## ქალაქების თვითმართველობათა წარმომადგენლობის სიეზდის გამო თბილისში.

ამ დღეებში თბილისში შეიკრიბა კავკასიის ქალაქების წარმომადგენლები. ჯერ ჩვენ არ ვიცით ამ სიეზდის შედეგი, ჩვენ არა გვაქვს მისი დადგენილებები, არ ვიცით, რა ითქვა, ან რა გადაწყვიტეს იქ. მიუხედავათ ამისა საჭიროა ვიცოდეთ, როგორ ვუყურებთ ჩვენ ქალაქების წარმომადგენელთა დღევანდელ სიეზდს.

ეს პირველი სიეზდია მას შემდეგ, რაც ქალაქის თვითმართველობები განახლდენ დემოკრატიულ საფუძველზე. მას შემდეგ დიდი ხანი არ გასულა, რაღაც ერთი თვე ან თვენახევარი. ეს მეტათ მცირე ვადაა რაიმე ცოტათ თუ ბევრათ საგრძნობი ნაყოფის გამოსაღებათ ახალ თვითმართველობათა მხრით. იმათი მოღვაწეობა მხოლოთ იწყება. მაგრამ დღეს ჩვენ ვცხოვრობთ განსაკუთრებულ ხანაში, ეს არაჩვეულებრივი მომენტია, როცა არა თუ თვე, არამედ დღესაც და თითქმის საათსაც დიდი მნიშვნელობა აქვს. ამიტომ ის, რაც წინეთ ერთი ან რამდენიმე წლის განმავლობაში კეთდებოდა, დღეს ერთი თვის განმავლობაში უნდა გაკეთდეს; წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ ჩამოვრჩებით ცხოვრებას და ზედმეტ ბარგათ გადავიქცევით. მაშასადამე, დღეს ერთი თვეც კი საკმარისია, რომ ახალ თვითმართველობათა მოღვაწეობა, ან ამ მოღვაწეობის ხასიათი დავაფასოთ. თუ ახალ დემოკრატიულ თვითმართველობათ შეუძლიათ რისამე გაკეთება, თუ მათ აქეთ შემოქმედებითი ძალა და უნარი, ყოველივე ეს ახლავე, დასაწყისშივე უნდა ჩანდეს. ამიტომ თავისი უმოქმედობის ან უნიჭობის გასამართლებლათ იმაზე მითითება, რომ ასეთ მოკლე ვადაში შეუძლებელი იყო რაიმე საგრძნობი ცვლილების მოხდენა მუნიციპალურ მოღვაწეობაში, უაფუძვლოთ უნდა ჩაითვალოს.

ჩვენ არ უარვყოფთ, რომ ახალ თვითმართველობათ გამოუთქმელი დაბრკოლებანი ელობებიან წინ, უწინარეს ყოვლისა უმაგალითო ეკონომიური და ფინანსიური კრიზისი, მომზადებულ, საქმის მცოდნე პირთა უქონლობა და სხვ. მაგრამ ნუ დაივიწყებთ, რომ საქმეს სათავეში უდგას დღეს თვით ხალხი, მოწინავე დემოკრატია. არ არის ისეთი დაბრკოლება, რომლის თავიდან აცილება დემოკრატიას არ შეეძლოს. მართალია, მთელი საუკუნოების განმავლობაში მეფების თვითმპყრობელობა ხელ-ფეხს უბორკავდა და რკინის მუხრუჭით ახჩობდა დემოკრატიას, და ამიტომ ეს უკანასკნელი მოკლებული იყო თითქმის ყოველგვარ საშუალებას თავის განსავითარებლათ ანუ გასაწვრთნელათ. მაგრამ დედა-მიწის ზურგზე არ იყო ისეთი ძალა, რომელსაც დემოკრატიის აღმოფხვრა ან გაქრობა შესძლებოდა. მან დაამსხვრია მონობის რკინის ბორკილი, და იგი დღეს გაასკეცებული ენერგიით შეუდგა ახალი ცხოვრების შექმნას. ამიტომ ჩვენ მტკიცეთ ვართ დარწმუნებული იმაში, რომ დემოკრატია შესძლებს დღევანდელ გამოუთქმელ დაბრკოლების დაძლევას. მაგრამ ამისთვის საჭიროა რაც შეიძლება მეტი მოქმედება და ნაკლები სიტყვები.

რაც შეეხება ქალაქის წარმომადგენლების სიეზდს, ამის შესახებ ჩვენ აი რა უნდა ვთქვათ. სიეზდი რომ საჭიროა, და საჭიროა დღეს, როცა ქალაქის მუნიციპალიტეტები იწყებენ თავის მოღვაწეობას, ამაზე ლაპარაკი მეტია. მაგრამ ხსნა სიეზდების მოწვევაში როდია. ჩვენ დავეჩვიეთ სიეზდებს და იქ ლამაზი სიტყვების წარმოთქმას და რადიკალურ რეზოლიუციების მიღებას და უფრო ხშირათ მხოლოთ ამით ვკმაყოფილდებით. ვაი, თუ დღევანდელ სიეზდსაც ასეთი ბედი ეწვიოს! ჩვენ წინდაწინ დარწმუნებული ვართ, რომ იქ ბევრი კარგი სურვილი იქნება გამოთქმული, ბევრი ლამაზი სიტყვა წარმოითქმება და შეიძლება კარგი რეზოლიუციებიც იქნას მიღებული. მაგრამ საქმე ამაში როდია: საჭიროა კარგი სურვილების და კარგი რეზოლიუციების ცხოვრებაში განხორციელება. ამას კი ხელს უშლის ის ტაქტიკა, რომელსაც ჩვენში დღეს მენშევიკები ადგანან; ეს ტაქტიკა გამოიხატება ყველაფერის ძველებურათ, ხელუხლებლათ დატოვებაში. თითქმის ყველა ჩვენი ქალაქების სვე-ბედი დღეს განსაკუთრებით მენშევიკების ხელშია. სიეზდზედაც უმრავლესობა იმათ ეყოლებათ. ამიტომ ჩვენ არა გვაქვს იმედი, რომ ახალი თვითმართველობანი ვერაფერ შემოქმედებას გამოიჩენენ მუნიციპალურ მოღვაწეობაში. მარტო პროგრამა და რეზოლიუციები საქმეს ვერ უშველიან. ამიტომ ვერც დღევანდელ სიეზდზე ჩვენ დიდ იმედს ვერ დავამყარებთ. დღევანდელი მომენტი თხოულობს რადიკალურ ცვლილებას ყველაფერში. ასეთი როლისთვის მენშევიკები ვერ გამოდგებიან.

ფ. მ.

---

## რა ხდება დღეს რუსეთში?
(მოკლე მიმოხილვა).

უპირველესათ ჩვენს ყურადღებას ახლო სახელმწიფოს დავალიანება, ფინანსიური გაჭირვება იპყრობს. ფინანსთა სამინისტრო აცხადებს, რომ მარტო ომის საჭიროებისათვის 1 სექტემბრამდე 41 მილიარდი მანეთია დახარჯული; ამასთან სახელმწიფოს ვალი 9 მილიარდიდან 35 მილიარდით გაიზარდა: ასე რომ სახელმწიფომ ყოველწლივ მარტო სარგებელი თითქმის ორ მილიარდამდე უნდა იხადოს, მაშინ როდესაც მთელი წლიური შემოსავალი 4 მილიარდ მანათსაც ვერ აღწევს. სახელმწიფომ მთელი შემოსავლის ნახევარზე მეტი უცხოეთის და შინაური კაპიტალისტებისაგან აღებულ ვალის სარგებლათ უნდა იხადოს.

ასეთია ფინანსიური მდგომარეობა და დროებითი მთავრობა, მასთან ერთათ ყველა ჯურის ობორონცები ახალ ახალ შეტევაზე და მეომარ ჯარების გაძლიერებაზე ოცნებობენ.

მეორეთ—რუსეთის ეკონომიურათ დაცემა და ამით გამოწვეული ცხოვრების გაძლიერებული აუტანელი გაძვირება, შიმშილი და უბინაობა! ეს ფაქტორი, რაც ზამთარი ახლოვდება, სულ უფრო და უფრო ძლიერდება და ამას ის გარემოებაც ემატება, რომ ყინვის ქვეყანაში—რუსეთში—სათბობი მასალა ქალაქებში მაინც სულ აღარ იშოვება; პეტროგრადის მცხოვრებთ; მაგალითათ, ამ ზამთარში სიცივით სიკვდილი მოელით. ყველა ეს იწვევს ხალხში სტიქიურ მოძრაობას, ქუჩაზე გამოსვლას და იქ სასოწარკვეთილებით რაიმე საშუალების ძებნას. ამით აიხსნება რუსეთის ბევრ ალაგას ამ უკანასკნელ დღეებში რომ „პოგრომები“ მოხდა: სანოვაგეს, ნივთებს და სხვა გვარ საქონელს ბრბოები იტაცებენ და ამით, რა თქმა უნდა, „ნაძირალებიც“ ხარბათ სარგებლობენ.

ამავე ნიადაგზე რუსეთის შორეულ განაპირა კუთხეში, ქ. ტაშკენტში ჯარის აჯანყებაც გაჩაღდა. იქ მთელი ძალაუფლება ადგილობრივმა სალდათთა საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა ხელთ იგდო და დიქტატურა გამოაცხადა. მის წინააღმდეგ საბრძოლველათ დროებითმა მთავრობამ თავისი ერთგული ჯარები გაგზავნა. რუსეთის სამხრეთიდან, სახელდობრ ქ. ტაგანროგიდან დეპეშით იტყობინებიან, რომ იქ აგრარულ ნიადაგზე გლეხთა მოძრაობა იწყებაო. მოსალოდნელია გლეხთა არეულობა. ხოლო ქალაქებში კი სპეკულიაცია დღითი დღე ძლიერდება. შენიშნულია, რომ ვაჭარმრეწველნი და მცხოვრებთა შეძლებული ნაწილი სხვა და სხვა ძვირათ საშოვარ საქონელს და სანოვაგეს მალავს. საქონლის გადამალვა თანამედროვე ახალი მოარული სენი გახდა. ამ ნიადაგზე ჩვენს ქალაქშიაც მოხდა ამ დღეებში „მცირე რამ უსიამოვნება“. ამას უყურადღებოთ დავტოვებდით, რომ ეს მცირე უსიამოვნება მსხვილი „პოგრომის“ მომასწავებელი რომ არ იყოს! ერთი სიტყვით საქმე ისე მოეწყო, რომ ქალაქი სოფელს არ აწვდის საჭირო საქონელს, ხოლო სოფელი—ქალაქს საჭირო პურს. აქ ხსნა მხოლოთ მქონებელთაგან უზომო მსხვერპლის გაღებაშია.

ხალხის ხსნა მხოლოთ მქონებელთა და შეძლებულთა, ე. ი. ბურჟუაზიის უხვ მოწყალების გაღებაზეა დამოკიდებული, თავის ნებით თავის ქონებაზე ხელის აღებაშია. და აი კიდევ გამოვიდენ დემოკრატიული თათბირის ტრიბუნაზე სკობელევები და ბურჟუაზიას მოწოდებით მიმართეს: გაიღეთ უხვი მოწყალება, საჭირო მსხვერპლი, თუ გინდათ ხალხი შიმშილისგან და რუსეთის რევოლიუცია დაღუპვისგან იხსნათო. რა მიიღო მერე პასუხათ უბრო მაქადაგებელმა, სკობელევმა ბურჟუაზიისაგან? პასუხი უკვე აშკარა ხდება ამ დღეებშივე ბაქოდან მოსულ დეპეშიდან. იქ ნავთის მრეწველი მილიონერები არ დაეთანხმენ მუშებს კოლექტიური ხელშეკრულობის ზოგიერთი მუხლის მიღებაზე, განსაკუთრებით მუშებისა და მოსამსახურეების ადგილზე მიღების შესახებ და ამით მუშათა საერთო გაფიცვა გამოიწვიეს, მთელ რუსეთს ამ საშინელ კრიზისის დროს სათბობი და სანათი მასალა მოაკლეს. აი როგორი მსხვერპლის გამღებია სკობელევის აუდიტორია—ბურჟუაზია!

აქ დემოკრატიული თათბირი ვერას გააწყობს! მით უმეტეს, რომ, როგორც უკანასკნელმა დეპეშებმა გვამცნეს, თათბირის უმეტესობა, თუმცა მცირე რიცხვით, „კოალიციის“ პრინციპს მიემხრო,

---

## როდის გათავდება ეს წყეული ომი?
II

სოციალისტიც არი და სოციალისტიც! ყოვლის უწინარეს ეს უნდა ესმოდეს როგორც მუშას, ისე სალდათს. სახარებაში სწერია: არა ყოველი, რომელიც იტყვის „უფალო, უფალო!“ შევა სასუფეველსა ღვთისასა. ჩვენც მწარე გამოცდილების შემდეგ შეგვიძლიან ვთქვათ, რომ ყველა არ შეიძლება ჩაითვალოს სოციალისტათ, თუნდაც ის თავის თავს სოციალისტს უწოდებდეს.

ესერებს სთვლიან სოციალისტებათ. მენშევიკებიც თავიანთ თავს სოციალისტებს უწოდებენ. ფოლადს გამოსცდიან ხოლმე კაჟზედ, სოციალისტი კი უნდა გამოიცადოს ომის საკითხში. არიან „სოციალისტები“, რომელნიც ომს მხარს უჭერენ, ესენი უძმობილდებიან ბურჟუაზიას, უმალავენ ხალხს მის გეგმას და სულისკვეთებას, როგორც მაგალითად მის საიდუმლო ხელშეკრულობას. ისინი მოითხოვენ ჯარისაგან, რომ მან ბრმათ შეასრულოს ბურჟუაზიის გეგმა. სიტყვით სოციალისტები, საქმით მხოლოთ მონა-მოსამსახურენი არიან ესენი ბურჟუაზიისა. აი რას წარმოადგენენ ესერები და მენშევიკები. მათ წრიდან გამოსულმა მინისტრებმა შემოიღეს სიკვდილით დასჯა და კატორღა. მათმა ბელადებმა, წერეთლის მეთაურობით, ხმა მისცეს, რათა შემდეგისთვისაც შენახულიყოს სიკვდილით დასჯა. მინისტრ-ესერები და მინისტრ-მენშევიკები ატყვევებენ ბალშევიკებს, ციხეში ალპობენ მათ გამოუძიებლათ, ხურავენ ბალშევიკების გაზეთებს და ავრცელებენ ბურჟუაზიისგან შეთხზულ ცილისწამებას ბალშევიკებზე. და ყველა ამას სჩადიან იმისთვის, რომ ბალშევიკების პარტია იბრძვის შეურიგებლათ ომის წინააღმდეგ.

განა შეიძლება სოციალისტებათ ჩაითვალონ კერენსკი, ავქსენტიევი, წერეთელი და ჩერნოვი? არასოდეს! პირიქით, ესენი პირწმინდა მტრები არიან მუშათა კლასისა. საუბედუროთ კი რამდენი მენშევიკი და ესერი მოიძებნება ჯერ კიდევ მუშებში და ჯარის კაცებში! მაგრამ მიუხედავათ ამისა მუშასმენშევიკს ანუ ჯარისკაცს ესერს ჩვენ მტრათ არ ჩავთვლით. ისინი არიან ჩვენი ნაკლებ შეგნებული ამხანაგები. მათ ესაჭიროებათ განათლება. მათ უნდა აუხსნათ, რომ ისინი შემცდარი არიან, რამდენათაც მიენდვენ იმისთანა აუტანელ პარტიებს, რომელთა ბელადებმა უღალატეს მუშათა კლასს. მუშები და ჯარისკაცნი ადვილათ მიხვდებიან ამას, რადგან მენშევიკები და ესერები მომხრენი არიან ომისა, იმ ომისა, რომელსაც აუცილებლათ მოაქვს მთელი ქვეყნის დაღუპვა და უპირველესათ რუსეთისა, როგორც უფრო ღარიბის და ილაჯ მიხდილ ხალხისა.

„წყეულიმც იყოს ის, ვინც დღეს ხმას ამოიღებს ზავზე“!—წამოიძახა სოციალისტ-რევოლიუციონერმა კერენსკიმ. დიახ! ჩვენ არ გვეშინია წყევლა-კრულვის, არც ღვდლებისა და არც ესერებისა. ჩვენ არამც თუ ხმას ვიღებთ ზავზე, არამედ ვიბრძვით ზავის სასარგებლოთ. ჩვენ ხალხთან ერთათ წყევლა-კრულვას [illegible] დღევანდელი ომი და დაუსრულებლათ განაგრძობს მას. ჩვენ ვიბრძვით და არ გვეშინია დევნისა, რომელსაც უკვე შევეჩვიეთ მეფის დროს. ჩვენ მტკიცეთ გვრწამს ჩვენი გამარჯვება. რევოლიუციის ტალღამ ამოატივტივა კერენსკი მართვა-გამგეობის ზედაპირზე და მას ჰგონია, რომ ისტორიის მსვლელობა სრულიათ მის განკარგულებაშია და მაშასადამე, შეუძლიან პროლეტარიატიც ატაროს თავის ნებაზე, საბრალო შემცოდევ! შემდეგი ტალღა, რომელსაც იგი ისე გამწარებული ებრძვის, წალეკს მას და დაანახვებს, რომ მუშათა კლასი ყოფილა ყველაფერი, კერენსკი კი არაფერი.

«თქვენ დეზერტირობას ქადაგებთ»!

ასეთ ცილსა გვწამებენ ჩვენ. სტყუიან. ჩვენ სრულებითაც არ ვურჩევთ, რომ შტიკი მიწაში ჩაურჭონ და თხრილებიდგან გამოიქცნენ. რა თქმა უნდა, შეიძლება მომხდარიყოს, რომ უვიც სალდათს ამოეკითხოს ბურჟუაზიულ გაზეთიდგან, ვითომ ბალშევიკები მოუწოდებენ დეზერტირობისკენ, მასაც დაეჯერებინოს და მართლა თოფი გადაეგდოს. მაგრამ ამ გვარი მოწოდება ჩვენ არ გვეკუთვნის. ეს ეკუთვნის ბურჟუაზიის უსინიდისო მწერლობას, რომელიც თავის გამოგონებულს ჩვენ გვახვევს თავზე. გა[illegible]იმე სალდათის დეზერტირობა [illegible] ერთი რომელიმე ნაწილის [illegible]ყენებს ომსა? ჯარის კაცნი [illegible]ლის ველიდგან ღალლი- [illegible] და სასოწარკვეთილობის [illegible] ბალშევიზმის ზედგავლე- [illegible] ცილისა გვწამებენ ყოველ [illegible]ის განმავლობაში და აი [illegible]ნი დაუძინებელი მტერი სავინკოვი, ეს სამინისტროს მართველი, იძულებული გახდა აღიაროს, რომ ბალშევიკური პოლკები, როდესაც კი ჩაერევიან ხოლმე ბრძოლაში, არამც თუ სხვებზე ნაკლებათ ეკვეთებიან მტერს, არამედ ისეთ თავგანწირულებამდის მიდიან, რომ სამი მეოთხედი იხოცება ბრძოლის ველზე. და აი, როცა ჩვენი ჯარის კაცნი უთვალავი წყდებიან ამ უპატიოსნო ომში, რომელიც გამოწვეულია არა ამათგან, გამომდგარან ბურჟუაზიული გაზეთები, როგორც „რეჩი“, „ნოვოე ვრემია“, „ვეჩერნეე ვრემია“, „ბირჟევკა“, „რუსსკაია ვოლია“, „რუსსკაია მისლ“ და სხვ. და სიცრუეს და ცილის წამებას ავრცელებენ ჯვარცმულ ჯარზე. ბურჟუაზიულ „პატრიოტიზმზე“ უმსგავსესი არაფერია ქვეყნათ! ინტერნაციონალისტი-სალდათები იხოცებიან სხვებთან ერთათ, მხოლოდ იმ განსხვავებით რომ ესმით კარგათ ერთი: დღევანდელი ომი არ არის ჩვენი ომი.

მმართველ კლასებს ისინი არაფერში არ უცხადებენ ნდობას. ისინი ცდილობენ მხოლოთ, რომ შეერთებულის ძალით დანარჩენ მუშებთან და სალდათებთან, და აგრეთვე მუშებთან და სალდათებთან როგორც გერმანიისა ისე სხვა ქვეყნებისა ბოლო მოუღონ ომსა და დამნაშავენი სამართალში მისცენ.

ჩვენ, ინტერნაციონალისტები, წინააღმდეგი ვიყავით თავდასხმისა.

ჩვენ უჩვენებდით სხვა გზას.

18 იენისს, თავდასხმის წინადღეს, ჩვენ ინტერნაციონალისტები გულახდილათ და გაბედულათ ვაფრთხილებდით ომის შესახებ. ჩვენ ვიძახოდით, თუ კაიზერი, ვილგელმი ოთხი თვის განმავლობაში ჩუმათ არის, ეს იმიტომ, რომ ვერ ბედავს რევოლიუციის წინააღმდეგ გამოლაშქრებას, ვინაიდგან არ ენდობა თავის ჯარს და აი სწორეთ ეს გარემოება გვიწყობს ხელს, რითაც უნდა ვისარგებლოთ, ვამბობდით ჩვენ.

უნდა დავანახოთ როგორც ნემეცის და ავსტრიის ისე დანარჩენ ერთა მუშებს, რომ ჩვენ ვაწარმოებთ სულ სხვა ნაირ გარეშე პოლიტიკას, რომელიც დამყარებულია პატიოსნურ და დემოკრატიულ ნიადაგზე, რომ ამ პოლიტიკას არა აქვს სახეში ტაციობა ან ძალმომრეობა, რომ მისთვის არა აქვს მნიშვნელობა ძველ გამგლეჯ საიდუმლო ხელშეკრულობას, რომ იგი ხელს შეუწყობს რევოლიუციას ყველა ქვეყანაში, როგორც მოკავშირეთა ისე მტერთა შორის, რომ ის მთელ ქვეყანას მოუწოდებს მშვიდობიანობისაკენ. ამისათვის კი საჭირო იყო არა ცარიელი სიტყვები, არამედ დაუყონებლივ გამოქვეყნება საიდუმლო ხელშეკრულობისა, ბურჟუაზიულ იმპერიალისტურ მინისტრების გამორეკა დროებითი მთავრობიდან და უარის თქმა იმ ვალებზე, რომელნიც მეფის მთავრობამ აიღო ომის საჭიროებისთვის.

ამეებს თან უნდა მიჰყოლოდა გაბედული შინაური პოლიტიკა: უნდა დათხოვნილიყო სახელმწიფო სათათბირო და საბჭო, გამოქვეყნებულიყო დემოკრატიული რესპუბლიკა, გაუქმებულიყო წოდებრივი უპირატესობა; უნდა გადასცემოდა მიწა ბატონის ხელიდან გლეხთა კომიტეტებს, შემოღებულიყო ერთ-

ე. ი. ბურჟუაზიასთან შეთანხმებაზე ხელი არ აიღო. და ეს გარემოება მით უფრო საყურადღებოა, რომ ამავე დროს ქ. მოსკოვში როძიანკოს ხელმძღვანელობით თვით ბურჟუაზიასა და მემამულეთა თათბირიც გაიმართა, რომლის უმრავლესობამაც ცნობილი კადეტი როდიჩევის მეთაურობით „კოალიციის“ პრინციპი მიიღო, ე. ი. დემოკრატიულ თათბირთან შეთანხმება საჭიროთ სცნო; და ასე ამნაირათ ეს ორი თითქო სხვა და სხვა ფერის მოსისხლე მტრების თათბირები მოსიყვარულე ძმებივით ერთმანეთს შეხვდენ და მორიგების გზას დაადგენ. ამიტომ საკვირველიც არაა, თუ დღეს კერენსკი თავის მოწოდების შესრულებას გაბედულათ შეუდგა და მინისტრებათ „დემოკრატიის თათბირის“ დაუკითხავადაც კი ცნობილი „პროგრესისტი“ კონოვალოვი და მისი მეგობრები მიიწვია.

ასე წავიდა საქმე; ასე დაუპირაპირდა დღეს ერთიმეორეს: ერთი მხრით პეტროგრადის და მოსკოვის მუშათა და სალდათთა საბჭოები თავისი ბოლშევიკური რეზოლიუციებითა და ლოზუნგით, ხოლო მეორე მხრით რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტები თავისი დემოკრატიული თათბირით და „კოალიციის“ პრინციპით, რომელთაც მეთაურობენ და წინ უძღვიან: ჩხეიძეები, წერეთლები, სკობელევები, აქსენტიევები და კერენსკები.

მაგრამ რუსეთის დიადმა რევოლიუციონურმა ქარიშხალმა ფსკერიდან ზედაპირამდე აზბოქრებულ—აღძრულ ცხოვრების ზღვა—უკიდეს გარდამლილ მზერდზე აზვირთებული „მეორე ტალღა“ მოგვივლინა.

ეს „მეორე ტალღა“ რევოლიუციონური მძლეთა მძლე სტიქიაა, მეორე ხელახალი რევოლიუციაა, რომელმაც რუსეთის ხალხი დაღუპვისგან უნდა იხსნას და საკაცობრიო იდეალს—სოციალიზმს მთელ ქვეყანაზე გზა გაუხსნას.

პეტროგრადის ბოლშევიკებმა ეს მომენტი ღირსეულათ დააფასეს: მას თავდაჭერილათ და მომზადებულათ შეხვდენ! მათ მოუწოდეს პეტროგრადის პროლეტარიატს, დემოკრატიული თათბირის რევოლიუციონურ ნაწილს ხელმძღვანელობა—წინამძღოლობა გაუწიოს და მთელი ქვეყნისთვის დაუყონებლივ მოითხოვოს: პური, ზავი და მიწა.

რ. კ.

---

## ჩვენი მენშევიკ-ობორონცები და კორნილოვშჩინა.

აღგილობრივი მენშევიკები ამ უკანასკნელ დროს სულ დაიბნენ. კორნილოვშჩინამდე ისინი თითქო გამოფხიზლდა და ჟიძულა მთელი თუ არა ნახევარი ნაბიჯი მაინც წინ გადაედგათ, მარცხნით გაქანებულიყვენ. იმათ თითქო უარყვეს ბურჟუაზიასთან კავშირი, უარყვეს კოალიციური მთავრობა და იმავე დროს მოითხოვეს მთელი ძალა უფლების დემოკრატიის, ე. ი. მუშების, სალდათების და გლეხების საბჭოების ხელში გადასვლა. მაგრამ ყოველივე ამას დიდი ხანია რაც რევოლიუციონური სოციალდემოკრატია ანუ ბოლშევიკების პარტია თხოულობდა და თხოულობს. და აი სწორეთ ეს გარემოებაა, რომელიც აფრთხობს და აშინებს. მართალია, იმათ თითქო გადადგეს ერთი ნაბიჯი წინ, მაგრამ ეს მხოლოთ იმიტომ, რომ იმავე დროს ორი ნაბიჯით უკან დაეხიათ. ერთი სიტყვით, ადგილობრივი მენშევიკები დაიბნენ, ლოღიკა დაკარგეს და აშკარა ნახტომებს აკეთებენ.

ისინი აღტაცებით ეგებებიან კერენსკის მიერ იმპერიალისტური რესპუბლიკის გამოცხადებას რუსეთში და იქავე („ერთობა“, № 139) გმობენ იმავე კერენსკის ბრძანებას ჯარში, პოლიტიკური ბრძოლის მოსპობის შესახებ. მენშევიკების აზრით „3—5 ივლისის გამოსვლამ კონტრ-რევოლიუცია გაამაგრა, ხოლო გენ. კორნილოვის ავანტიურამ კი რევოლიუცია გააძლიერა და გააღრმავაო“. გამოდის, რომ თითქო პროლეტარიატის რევოლიუციონური ნაბიჯები რევოლიუციას ასუსტებს და კონტრ-რევოლიუციონური გამოსვლა კი, პირიქით, რევოლიუციას აძლიერებს.

ასეთი აბსურდის მტკიცება იმიტომ მოსდით, რომ იმათ არ ესმით, ვერ შეუგნიათ ის, რაც დღეს ხდება. 3—5 ივლისის ამბების შემდეგ მართლაც გამაგრდა კონტრ-რევოლიუცია რამდენიმეთ, მაგრამ ეს გამაგრება პირდაპირი შედეგი იყო დროებითი მთავრობის მოქმედების 3—5 ივლისს დღეებში და მას შემდეგაც. კონტრ-რევოლიუცია გაამაგრა კერენსკის და წერეთლის კონტრ-რევოლიუციონურმა მოქმედებამ, რაც გამოიხატა კაზაკების მოწვევაში კალედინის მეთაურობით პეტროგრადის პროლეტარიატის და რევოლიუციონური ჯარის წინააღმდეგ, რომლებიც თხოულობდენ მთელი ძალა-უფლების მუშების, სალდათების და გლეხების დეპუტატების საბჭოთა ხელში გადასვლას და კონტრ-რევოლიუციონურ ბურჟუაზიასთან ყოველივე კავშირის გაწყვეტას, ე. ი. თხოულობდენ იმას, რასაც დღეს კორნილოვშჩინის შემდეგ თითქო მხარს უჭერენ ჩვენი მენშევიკებიც.

მაშასადამე, კონტრ-რევოლიუცია გაამაგრა დროებითმა მთავრობამ კერენსკის და წერეთლის მეთაურობით. მან მოიწვია რევოლიუციონური პეტროგრადის წინააღმდეგ კონტრ-რევოლიუციონური პოლკები ფრონტიდან კორნილოვის და კალედინის მეთაურობით; მან დახურა და აიკლო გაზ. „პრავდა“ და მისი სტამბა, მან მოახდინა „პოგრომი“ რევოლიუციონურ ორგანიზაციების, დაატყვევა პროლეტარიატის მეთაურები, შეთხზა საზიზღარი ცილისწამება იმათ წინააღმდეგ და ასეთ ცილის წამებაზე დაამყარა ყოვლად უმსგავსი ბრალდება იმათ წინააღმდეგ. ამით დროებითმა მთავრობამ საშუალება მისცა გარყვნილ ბურჟუაზიულ პრესას რევოლიუციონური სოც.-დემოკრატიის და მისი სახელოვანი ბელადების სალანძღავათ. მაგრამ ამით არ დაკმაყოფილდა დროებითი მთავრობა მენშევიკების და ესერების მეთაურობით. კონტრ-რევოლიუციონური ბურჟუაზიის ჩაგონებით მან რევოლიუციონური პოლკები დაშალა და ნაწილ-ნაწილ ფრონტზე დაქსაქსა; კორნილოვების და კალედინების წინადადებით მან დაუწყო დევნა სალდათების დემოკრატიულ ორგანიზაციებს და იმავე დროს ფრონტზე დამარცხება, რაც ჯარის მოუმზადებლობის და კონტრ-რევოლიუციონურ გენერლების უნიჭობის თუ მოღალატური მოქმედების შედეგი იყო, სალდათებს გადააბრალეს, იმ სალდათებს, რომლებიც მედგრათ და გმირულათ იბრძოდენ, როგორც ფრონტზე, ისე რევოლიუციის დასაცავათ; და აი ამ სალდათების წინააღმდეგ მიიღეს სიკვდილით დასჯა. იმავე დროს კონტრ-რევოლიუციონურ კლასებს, კაპიტალისტებს და მემამულეებს სრული უფლება მისცეს კონტრ-რევოლიუციონური აგიტაციის გასავრცელებლათ. შავრაზმულ გაზეთებს და ცნობილ კონტრ-რევოლიუციონერებს, პურიშკევიჩებს, როდზიანკოვებს, მილიუკოვებს აღვირი ახსნეს და სრული თავისუფლება მიანიჭეს. შავრაზმულ სახელმწიფო დუმას, რომელიც რევოლიუციის დაწყებით სულს ლევდა, წერეთელმა და კერენსკიმ სული ჩაბერეს და კონტრ-რევოლიუციონური მოქმედებისთვის გამოაცოცხლეს. ყველა ამით დროებითმა მთავრობამ ხელი შეუწყო და მოამზადა კორნილოვშჩინა; მოსკოვის თათბირმა, რომელიც იმავე დროებითმა მთავრობამ მოიწვია და რომელიც მენშევიკების და ესერების სიტყვით თითქო დემოკრატიის გამარჯვებით დამთავრდა, ნამდვილათ კი კორნილოვის აჯანყებას შეუწყო ხელი, როგორც ახლა ირკვევა, სწორეთ მოსკოვის თათბირის დროს მოხდა ამ კონტრ-რევოლიუციონური შეთქმულების ორგანიზაცია. ჩვენ ამას მაშინვე ვამბობდით და კონტრ-რევოლიუციონური აჯანყების ფიზიკურ მეთაურათ იმავე კორნილოვს ვასახელებდით, მაგრამ კერენსკის და წერეთლის მკვირალა ფრაზეოლოგიის საშუალებით დაბრმავებულ მენშევიკებს და ესერებს ეს არ ჯეროდათ და არწმუნებდენ, რომ რევოლიუცია იმარჯვებსო.

აი როგორ მომზადდა კორნილოვშჩინა, და ვინ შეუწყო მას ხელი. რაც შეეხება იმას, რომ კორნილოვშჩინამ გააღრმავა და გააძლიერა რევოლიუციაო,—ეს პირდაპირ სისულელეა, ვინაიდან ეს რომ მართლა ასე იყოს, მაშინ ჩვენ თითონ უნდა შევეცადოთ კონტრ-რევოლიუციონურ აჯანყების მოწყობას.

ყოველივე ეს იმას მოწმობს, რომ მენშევიკები დაიბნენ; და დაიბნენ იმიტომ, რომ ისინი წვრილბურჟუაზიული იდეებით იკვებებიან, რომ ისინი რევოლიუციის მეთაურებათ ვერაოდეს ვერ შეიქნებიან. კორნილოვის მაგალითი იმათ არწმუნებს იმაში, რომ ის გზა, რომლითაც ისინი აქამდის მიდიოდენ, მართალი, სწორი არ არის, რომ იმათი ტაქტიკა თავიდან ბოლომდე შეცდარია, მაგრამ წვრილ-ბურჟუაზიული ილლიუზიები, რომლითაც ისინი გაჟღენთილია, იმათ საშუალებას არ აძლევს ეს შეცდომები საბოლოოთ უარყონ და პირდაპირ რევოლიუციონური გზა აირჩიონ, ის გზა, რომელსაც ადგა რევოლიუციონური პროლეტარიატი ბოლშევიკების მეთაურობით.

---

## რევოლიუცია და დემოკრატიული თათბირი.

მოსკოვის კონტრ-რევოლიუციონური თათბირის შემდეგ სწორეთ ერთი თვის თავზე 14 სექტემბერს გაიხსნა მეორე თათბირი პეტროგრადში. პირველის შედგენილობა იყო ბურჟუაზიულ—კონტრ-რევოლიუციონური, ხოლო მეორის—დემოკრატიულ-რევოლიუციონურია. თათბირზე 1,400-მდე დელეგატი გამოცხადდა. აქ წარმოდგენილია, როგორც პარტიული, ისე პარტიის გარეშეთ დარჩენილი მასა.

აქ არ არიან წარმომადგენლები: არც მემამულეების, არც კაპიტალისტების, არც ვაჭრების, არც მრეწველების რაც ამათა პარტიების.

მაგრამ თვით დემოკრატია, როგორც ყველგან, რუსეთშიაც მრავალფეროვან ჯგუფებისგან შესდგება.

არიან ჯგუფები, რომლებიც უფრო ბურჟუაზიას უახლოვდებიან და ენათესავებიან, ვიდრე პროლეტარიატს და არიან ისეთი მრავალრიცხოვანი ჯგუფებიც, რომლებსაც სამართლიანათ შეეძლება ვუწოდოთ ნახევრათ პროლეტარიატი. ამასთან ამავე დემოკრატიის მთავარ მოძრავ, მოწინავე ნაწილს თვითონ პროლეტარიატი შეადგენს.

და აი ამ „ჭრელი ხალხის“ წარმომადგენლობა შეიკრიბა პეტროგრადში, რომ „იხსნას რუსეთის რევოლიუცია დაღუპვისაგან“.

მიუხედავათ „ჭრელი“ შედგენილობისა თათბირს აერთებს ეს სურვილი, მას მიზნათ დაუსახავს შეიმუშაოს რევოლიუციონური პოლიტიკის ერთი ხაზი, ერთი ტაქტიკა, შეადგინოს, ერთი ძლიერი დროებითი მთავრობა, რომელიც შესძლებს დემოკრატიის დიდი უმრავლესობის ნებასურვილის სისრულეში მოყვანას.

სურვილი და მიზანი დიდებულია, წარმტაცია, აღმაფრთოვანებელია, მაგრამ საძალალო და საბედისწერო ისაა, რომ ამ სურვილსა და გატაცებას იქვეც თანა სდევს! არ შეგვ ძლია არ ვიკითხოთ: შესძლებს კი თათბირი ამ სურვილის განხორციელებას, ამ მიზნის მიღწევას?!

ჩვენ არა დაეჭვებული და ორჭოფულათ, არამედ პირდაპირ ვამბობთ, რომ ვერ შესძლებს.

არავითარ თათბირს—შეთანხმებას, ნებაყოფლობა—„სიამტკბილობით“ მოლაპარაკებას არ ძალუძს რევოლიუციის მსვლელობას ხელმძღვანელობა გაუწიოს, «რევოლიუცია დაღუპვისგან იხსნას».

რევოლიუცია უპირველესად ყოვლისა სამოქალაქო ომია, კლასთა შორის შეიარაღებული, აშკარა ბრძოლაა და ვინც მის გაძღოლას დიპლომატიური მოლაპარაკებით და „სამშვიდობო თათბირების“ საშუალებით ცდილობს, იგი უკვე ბურჟუაზიულ პაციფისტებს, «ქვეყნის მხსნელ» ევროპის ცნობილ დიპლომატ-ლიბერალებს ბაძავს და ოპპორტუნიზმს ქადაგებს.

რევოლიუციას თავისი ლოღიკა, თავისი მეტოდი აქვს: იგი ბრძოლის ცეცხლში იშვება ხოლმე და ბრძოლის ცეცხლითვე აგვირგვინებს თავის საქმეს.

მას ყოველთვის ყავს თავისი ბელადი კლასი და იმისი გამომხატველი პარტია—ლიდერი.

ის მიდის თავისი გზით და ვინც ამ გზაზე მას შეუერთდება, იგი მას ხელს არ კრავს და არ მოიშორებს. ამიტომ

---

დროული ქონებითი გადასახადი, აელაგმათ ყველა სახემწიფო მძარცვავ-მგლეჯელები და სხვა ამისთანები. ამისთანა პოლიტიკა არამც თუ აღამაღლებდა რევოლიუციის ძლიერებას, არამედ ერთა შორისაც მოუპოვებდა ავტორიტეტს. ყოველი ქვეყნის ტანჯულნი მშრომელთა მასსები გაიმსჭვალებოდნენ მაშინ დიდის სიყვარულით რუსეთის რევოლიუციისადმი და მოისურვებდენ მასთან ერთად სიარულს. მეორე მხრივ რუსეთის რევოლიუცია გამოიწვევდა შიშს და სიძულვილს ყველა ქვეყნის მართველ კლასებში. ამით ერთის დაკვრით ორ ბანაკათ გაიყოფოდა მთელი ქვეყნის იმპერიალისტები და ჩაგრულთა გუნდები და ჩვენი რევოლიუცია, რომელიც სოლივით შეიჭრებოდა ომის შიგ გულში, დააჩქარებდა ევროპის რევოლიუციას.

მაგრამ ზოგიერთ ნაწილებმა ჩვენი უკან ჩამორჩენილ მუშების, უმეტესათ კი გლეხებმა და სალდათებმა ვერ გაიგეს კიდევ ჩვენი და ისინი განაგრძობდენ საბჭოებში ესერების და მენშევიკების გზავნას. ეს უკანასკნელნი შეუერთდნენ ბურჟუაზიას, ბურჟუაზია კი მოითხოვდა თავდასხმას და მიზანსაც ხომ მიახწია.

ჩვენ ინტერნაციონალისტები, ბოლშევიკები ვწინასწარმეტყველობდით, როგორც მწერლობით ისე სიტყვიერათ, რომ ასეთი თავდასხმა შეიქმნება უკეთეს საჩუქრათ კაიზერისთვის. „აბა შეხედეთ“—უეჭველათ ასე უნდა ეთქვა კაიზერს თავის სალდათებისთვის—„რუსეთის დროებითი მთავრობა ინგლისის, საფრანგეთის, იტალიის და ამერიკის იმპერიალისტებთან ერთად თუ როგორ აშკარათ ცდილობს დაამხოს გერმანია, მაშასადამე თქვენ არავითარი საბუთი არა გაქვთ ენდოთ რუსეთის რევოლიუციას“. ჩვენმა თავდასხმამ მისცა შეძლება ვილგელმს ეპასუხნა კონტრ-თავდასხმით. სულიერი და ზნეობრივი ძალა რუსეთის რევოლიუციისა წელში მოსწყდა, მტერს კი აღმოაჩნდა უდიდესი ფიზიკური და ნივთიერი ძალა. ამას შედეგათ მოჰყვა აუწერელი მსხვერპლი: ფრონტის გარღვევა, რიგის დამხობა და პეტერბურგისთვის საშიში მდგომარეობა.

### ვის ედება ბრალი.

პასუხი აშკარაა: დროებითი მთავრობას, რომელიც იმპერიალისტ-კადეტების ტაშ-დაკვრაზე ცეკვავდა. ბრალი ედებათ აგრეთვე მენშევიკებს და ესერებს, რომლებმაც ბანი მისცეს მათ და ხელი გაუწოდეს თავდასხმის ავანტიურას. ჩვენი პარტია უმწიკვლოა ამ საქმეში. ჩვენ უმცირესობას შევადგენდით. ჩვენს ხელში არ იყო მართვა-გამგეობა. ჩვენ მხოლოთ შეგვეძლო უარყოფითი სიტყვის თქმა და ვთქვით კიდეც, რითაც ჩვენი ვალი მოვიხადეთ. ამიტომაც დღეს ჩვენი სინიდისი წმინდაა. მუშებმა, სალდათებმა და გლეხებმა მოსთხოვონ პასუხისგება მენშევიკებს და ესერებს, რომელთაც ხელში ჩაუგდეს მათ მართვა-გამგეობა.

### რუსეთის მდგომარეობა.

რევოლიუციის დაწყებიდანვე მეტად გაჭირვებულ მდგომარეობაში იყო რუსეთი. შემდეგ დღითი დღე უფრო ცუდათ წავიდა საქმე, რადგან დროებითი მთავრობა ვერაფრის გაკეთებას ვერ ბედავდა ბურჟუაზიის დაუკითხავათ, ამიტომაც ვერც ერთი რეფორმა ვერ მოახდინა. ამას დაერთო ბედშავი თავდასხმა და მდგომარეობა მეტად საშიშარი შეიქმნა. რას გვიმზადებს ჩვენ ხვალინდელი დღე?

მთავრობა და მასთან ერთად მენშევიკები და ესერები გაიძახიან: „დღეს პოლიტიკის დრო არ არის, ეხლა მთელი ძალღონე უნდა მოგერიებას მოხმარდეს“. ეს მხოლოდ ყალბი და ცრუ სიტყვებია: მოგერიება შეუძლებელია უპოლიტიკოთ. საჭიროა მხოლოთ საღი პოლიტიკა. მოგერიების პოლიტიკა კი დროებითი მთავრობის ხელში ისევე დასაღუპი და ხალხის წინააღმდეგ მიმართულია, როგორც პოლიტიკა თავდასხმისა.

მთავრობა რომ მართლა იყოს რევოლიუციონური, ხალხური, მუშური, ის მყისვე შეუდგებოდა რევოლიუციის ავტორიტეტის აღდგენას. რამდენათაც მდგომარეობა საშიშია, იმდენათ უფრო გაბედული ღონისძიება უნდა იყოს მიღებული გაჭირებიდგან თავის დასახსნელათ. პირველ ყოვლისა უნდა შესრულდეს ზევით ნაჩვენები პროგრამა: უნდა თავი დავახწიოთ შინაურ იმპერიალისტებს და მოკავშირეთ, უნდა გამოქვეყნდეს ჩვენი ზავის პირობები, რომლითაც ნიადაგი უნდა გაუმაგროს შინაურმა აგრარულმა და ფინანსიურმა რევოლიუციამ. აი ის, რაც ჩვენ შეგვიძლიან და რასაც შეუძლიან მეხი დასცეს ვილგელმს!

დღევანდელ მთავრობას შეუძლია დაადგეს ამ პოლიტიკას?

სრულიადაც არა! იგი ჩაბოჭილი ჰყავთ ბანკირებს, მოკავშირე დიპლომატებს და კონტრ-რევოლიუციონურ ბანაკს. მთავრობა მოუწოდებს პროლეტარიატს მიიღოს მონაწილეობა მოგერიებაში და იმავე დროს იარაღს ხსნის მუშებს და უხურავს მათ იუნკრებს და ყაზახებს. მთავრობა მოუწოდებს მათ უარი სთქვან პოლიტიკაზე და იმავე დროს თვითონ კი ხეპრე პოლიტიკას ადგება: ატუსაღებს ბოლშევიკებს, ხურავს მუშების გაზეთებს, ხელს უწყობს ძალმომრეობას, წასისიანებას და ცილის-წამებას.

„ეხლა პოლიტიკის დრო არ არის“—გაიძახიან კერენსკი და აქსენტიევი და იმავე დროს თვითონ ბატონურ პოლიტიკას აწარმოებენ: აპატიმრებენ ადგილობრივ კომიტეტებს, როდესაც ეს უკანასკნელნი ეხებიან თავად-აზნაურების მამულებს. და აი ყველა ამის შემდეგ ეს ვაჟბატონები კიდევ გაჰკივიან, რომ ისინი აწარმოებენ ხალხურ-რევოლიუციონურ ომს!

ამ პირობებში პასუხის მგებლობა შესახებ მოგერიებისა, როგორც წინათ თავდასხმის გამო კისერზედ აწევება მთავრობას და მის დამქაშებს ესერებს და მენშევიკების პარტიას.

ჩვენ რევოლიუციონურ სოციალდემოკრატიულ პარტიისთვის არა ნაკლებ უძვირფასესია სამშობლოს ბედი, მისი დამოუკიდებლობა და თავისუფლება, ვიდრე კერენსკის და წერეთლის პარტიებისთვის. და სწორეთ ამისთვისაც ჩვენ დღესაც, ამ საშინელ განსაცდელ ხანაში ვადგივართ იმავე შეურიგებელ პოზიციას მთავრობის პოლიტიკისადმი, რომელიც ძირს უთხრის რევოლიუციას და მოგერიებასაც. ერთად ერთი ჩვენი ხსნა ძველებურათ ისევ ომის მოსასპობლათ საჭირო ბრძოლაშია. სამი წლის გამოცდილება ჩვენ გვიკარნახებს, რომ ომის მოსპობა შეუძლიან მხოლოდ რევოლიუციის ძალებს ევროპაში.

მუშებო და ჯარისკაცნო! ჩვენ უნდა ყველა ღონე ვიღონოთ, რომ მხარი დაუჭიროთ ევროპაში პროლეტარიატს მის რევოლიუციონურ გამოსვლის საქმეში, ჩვენ იგი უნდა ვასაზრდოვოთ და წინ წავწიოთ. საჭიროა იცოდნენ გერმანიის სოციალისტებმა და რევოლიუციონურმა მუშებმა, რომ თქვენც ისევე იბრძვით, როგორც ისინი.

რიგის დამხობა დიდი რისხვაა. პეტერბურგის დამხობა ხომ უარესი უბედურობა იქნება. რუსეთის პროლეტარიატის ინტერნაციონალისტური პოლიტიკის დამხობა კიდევ დაღუპვას მოასწავებს.

მუშა კაცებო, მუშა ქალებო და ჯარის კაცნო!

ჩვენ არ შეგვიძლიან ჩვენი ქვეყნის ბედ-იღბალი დავამყაროთ კერენსკის პოლიტიკაზე და მის სარდლობაზე. კერენსკის ხვალვე შეუძლიან ჩაუგდოს სამშობლო კონტრ-რევოლიუციას ისევე, როგორც კორნილოვმა ჩაუგდო რიგა ნემცებს. საჭიროა ძალ-ღონე, რომელიც შესძლებს გამოასწოროს შეცდომები, როგორც კერენსკებისა, ისე კორნილოვებისა. ეს ღონე არის ძალა საერთაშორისო რევოლიუციონურ პროლეტარიატისა. ამ ძალისა არა სჯერათ მხოლოთ პაწია მეცნიერებს, ამ პოლიტიკურ მხდალ კაცუნებს. ჩვენთვის კი გარემე ამ ძალისა არაფერია უფრო საიმედო და სწორი. თუ მართლა გოგენცოლერნმა, მიუხედავათ ჩვენის მოგერიებისა, შესძლო ჩვენზე გამარჯვება თავისი არტილერიის უპირატესობით, თავის ტეხნიკით და სამაგალითო ორგანიზაციით, ნუ თუ მაშინ სიკვდილი უნდა თავს დაადგეს ჩვენს ხალხს?! სრულიადაც არა! ევროპაში პასუხის მომთხოვნი გამოუჩნდებიან გოგენცოლერნებს. დღეს ამ აუტანელ ომისგან ევროპაში იმდენათ განიცადა და ისე აღივსო ბოღმით მუშათა კლასი, როგორც არა დროს ისტორიაში. კარლ ლიბკნეხტი და ფრიდრიხ ადლერი მხოლოთ წინამორბედნი იყვნენ გერმანიის და ავსტრიის დიადი მუშათა ომებისა და ჩვენც უნდა პირდაპირ შევხვდეთ ამ ბრძოლას. ის 183 ათასი მუშა კაცი,

მისი დევიზია: „ცალკე სვლა—ერთათ დაკვრა". მას სჭირდება მხოლოთ თანამგზავრები და მათთან ის მზათაა ბლოკი შეკრას, ბრძოლაში მათ ხელმძღვანელობა გაუწიოს. მას არ სჭირდება „კოალიციები", თუნდაც ის „ახალი დემოკრატიული" იყოს, ვინაიდან „კოალიცია" ყოველთვის ძალთა თანასწორობის ნიშნავს და აქედან უთანხმოებაც და უთანასწორობასაც, რაც სინამდვილეს არ გამოხატავს.

„კოალიცია" თვით მისმა მშობელმა, ლ. მარტოვმა უკუაგდო, როცა დარწმუნდა, რომ ამ რევოლუციონერთა ინტერნაციონალის ლოზუნგებს და არც რევოლუციის წარმოება მისი საშუალებით არ შეიძლება.

უკუაგდო ის ჩვენი მენშევიკების ძველმა, ბრძოლაში გამობრძმედილმა ლიდერმაც, ნოე ჟორდანიამ და თუ დღეს მისი მოწაფეები, მისი ჩვენებური მიმდევრები „კოალიციას" მაინც არ ეშვებიან, ეს მხოლოთ მოწაფეების გაუგებრობაა, შეუგნებლობაა და სხვა არაფერი. ხოლო ჩვენმა პარტიამ ეს ყველა ამ მოსაზრების შემდეგ პეტროგრადის დემოკრატიულ თათბირზე მონაწილეობა მაინც მიიღო, ეს მხოლოთ იმიტომ, რომ „კოალიციის" იდეის უნიადაგობა-უნაყოფობა, სრული გაკოტრება ნათლად დაანახვოს გულუბრყვილო პარტიულ მასას, რომელიც მენშევიკების და ესერების ბრძოლის ... ტიევ-კერენსკების ავტორიტეტს ემორჩილება და მათ ბრძნულ „კოალიციონურ" პოლიტიკას ისევ ენდობა.

რ. კალაძე.

# მუშათა წერილები.

**რა უფრო საშიშია, კორნილოვშჩინა თუ კერენსკოვშჩინა.**

აი საჭირბოროტო კითხვა, რომელიც უნდა წარმოუდგეს თვალწინ ყველა ნამდვილ რევოლიუციონერს. და მართლა გარკვეული პასუხი რომ გავცეთ ამ კითხვაზე, ამისთვის საჭიროა მოკლე ეკსკურსია წარსულში: ვინ არის კერენსკი და ვინ იყო კორნილოვი. დავიწყოთ ამ უკანასკნელით, რადგან ამაზე ბევრი არაფერია სალაპარაკო. გენერალი კორნილოვი, მთავარსარდალი რუსეთის ჯარის, პატარა, მარა გაბედული გენერალი აღზრდილი იყო მონარქიზმის ატმოსფერაში.

როდესაც რევოლიუციამ მარცხნით გადახვევა იწყო, როგორც ისტორიიდან ვიცით, კადეტებმა მოისურვეს მისი მარჯვნით შებრუნება, მაგრამ ეს მათთვის შეუძლებელი გამოდგა, ამიტომ იყო, რომ მათმა ბელადმა მილიუკოვმა მინისტრობაზე უარი განაცხადა და მოინდომა ზურგში მახვილის ჩაცემა რევოლიუციისთვის, მაგრამ ამაშიაც სუსტი გამოდგა და როგორც რუსები იტყვიან: „ზღვის პირას ამიდს უცდიდა"; და აი ასეთი ამიდი დაუდგა მას მოსკოვის თათბირის დროს, როცა „სახალხო გმირი", კორნილოვი მიიპატიჟა და მასთან მოლაპარაკების შემდეგ აშკარა კონტრ-რევოლიუციონერ მოქმედებას შეუდგა; მაგრამ ასეთი კონტრ-რევოლიუცია რუსეთში დღეს უნიადაგო გამოდგა და კორნილოვმა უმნიშვნელო „გმირის" როლიც ვერ შეასრულა: იგი სავსებით დამარცხდა.

მაგრამ სულ სხვაა კერენსკი. ეს ასე თუ ისე ბურჯი იყო რევოლიუციის ხალხის თვალში მაინც. მან სახელმწიფო დუმის ბელადებთან ერთად აღიმაღლა ხმა რევოლიუციის სასარგებლოთ, მან სხვა მოწინავეებთან ერთათ გაბედულათ ჩასცა სასიკვდილო ლახვარი მონარქიზმს. მან თვალსაჩინო როლი ითამაშა პირველ ორ თვეს რუსეთის რევოლიუციაში, რისთვისაც შესაფერი ცოცხალი ძეგლი დაიდგა დემოკრატიის გულში... მაგრამ რევოლიუცია გაღრმავდა. ის უფრო ჩქარი გამოდგა, ვიდრე კერენსკი თვით იყო. შემდეგ ორი თვისა კერენსკი და ძმანი მათნი რევოლიუციის ზედმეტი ბარგი შეიქნენ. საჭირო გახდა მათი გზიდან ჩამოშორება, მაგრამ დემოკრატიას ახსოვდა მისი პირველი გაელვებანი რევოლიუციაში და ითმენდა და ითმენს მას. ამით ისარგებლა კერენსკიმ: თავის პოზიციაზე გამაგრდა და ახლა იგი თანდათანობით სასიკვდილო ლახვარსა სცემს რევოლიუციას: ჯერ იყო და შეტევა დაიწყო, მერე მოღალატე გენერლებს დაუჯერა, თითქოს ჯარი ბოლშევიკების აგიტაციამ არივ-დარია და სიკვდილით დასჯა შემოიღო, შემდეგ, როცა მისგანვე გამოწვეულ კორნილოვშჩინას შეებრძოლა და რევოლიუციონური ჯარის მეოხებით დაამარცხა, კორნილოვს გაუწყრა, გაუჯავრდა: სულელი კონტრ-რევოლიუციონერი რათა ხარო, და მის ალაგას ჭკვიანი კონტრ-რევოლიუციონერი ალექსეევი დანიშნა, ესეც არ იკმარა და თავისთავი დიქტატორათ გამოაცხადა. ახლა ფრონტს მეფის ოპრიჩნიკი ალექსეევი განაგებს, ხოლო ზურგს კი თვითონ დიქტატორი კერენსკი. მანვე გამოსცა ამ უკანასკნელათ „გაუპიცე" რევოლიუციის დამარცხებლათ. ეს „გაუპიცე" რევოლიუციონური ორგანოების ჯარში გაუქმებას ნიშნავს. ფაქტიურათ დღეს ჩვენს „რესპუბლიკაში" ტირანიაა გამეფებული! დღეს რევოლიუციონურმა ძალთა განვითარებამ მიაღწია იმ წერტილამდი, როცა ისე, როგორც მსხვილ უმაღლესათ განვითარებულ წარმოებაში კაპიტალისტი მეტ ბარგათ იქცევა ხოლმე. კერენსკიც ზედმეტი რეაქციონური ბარგი გახდა რევოლიუციისთვის, და ამიტომ საჭიროა რევოლიუციის გზიდან მისი ჩამოშორება.

მაგრამ აქ დემოკრატიას დიდი სიფრთხილე მართებს; კერენსკი არ უნდა შეადაროს კორნილოვს, ვინაიდან ეს უფრო საშიში მტერია რევოლიუციის, ვიდრე ის, ვინაიდან ამას ბევრი „ფაორიტი" გააჩნია, ვიდრე კორნილოვს. დემოკრატიამ დიდი სიფრთხილით უნდა მოიშოროს იგი, რომ ამით მისმა „ფაორიტებმა" არ ისარგებლონ და სასიკვდილო ლახვარი არ ჩასცენ რევოლიუციას.

ერთი სიტყვით რევოლიუციის ეს მეტი ბარგი ფრთხილათ უნდა მოვიხსნათ, ვინაიდან კერენსკოვშჩინა უფრო საშიშია, ვიდრე „კორნილოვშჩინა".

ლენჩხუთელი ურუშაძე.

მუშა ქალი და ჯარისკაცი, რომელთაც ხმა მისცეს ჩვენს პარტიას პეტერბურგის საქალაქო საბჭოში გასაგზავნათ, საკმაო საფუძველია, რომელსაც ინტერნაციონალი უნდა დაეყრდნოს. მოსკოველი მუშებიც, რომლებმაც გაფიცვით პასუხი გასცეს „სახელმწიფო თათბირს", არა ნაკლები იმედია ამისთვისვე. ვიდრე კიდევ არსებობენ ეს იმედები, ვიდრე ისინი ფართოვდებიან და მაგრდებიან, არ შეიძლება ითქვას: „რევოლიუცია დამარცხდაო"! საჭიროა მხოლოთ, რომ შემდეგშიც ვიდგეთ შეუდრეკელათ მესამე ინტერნაციონალის დროშის ქვეშ.

მთავრობა გულაუშფოთებლათ მოგვითხრობს ომის ზამთრის ომზე. რა პასუხს გასცემს ამაზე ქვეყანა? როგორ უპასუხებს ჯარი? რევოლიუციონური ამბები უფრო მალე დაიწყება ევროპაში, ვიდრე ეს ბევრსა ჰგონია. ამიტომაც ჩვენ ხება არა გვაქვს სულით დავეცეთ.

მოწინავე მუშებო და ჯარისკაცნო! გააღვიძეთ ჩამორჩენილნი და გაანათლეთ უბირები. იმ საზარელ ამბების გამო, რომელნიც ხდებიან ფრონტზე! აუხსენით და უჩვენეთ ხალხს გზა ხსნისა. საჭიროა, რომ ხალხმა თვითონ აიღოს მართვა-გამგეობა. ხალხს კი წარმოადგენს მუშათა კლასი, რევოლიუციონური ჯარი და სოფლის ღატაკნი. მხოლოთ მუშათა მთავრობას შეუძლიან მოუღოს ბოლო ომს და გადაარჩინოს ხალხი დაღუპვას!

არ დაუჯეროთ ბურჟუაზიას, ამ ხალხის მტერს, არ დაუჯეროთ მატყუარა შეგობრებს—ესერებს და მენშევიკებს! ენდეთ მხოლოთ საკუთარ ძალას, თქვენს თავს. აი თქვენი გეზი.

მაშ წინ, ბრძოლისკენ! ააფრიალეთ თქვენი წითელი დროშა!

ახლოა უკვე ის დღე, როდესაც მთელი ქვეყნის მუშა ხალხი ხელიხელს ჩაკიდებული ჩაახრჩობს ომს და მასთან ერთათ კაპიტალიზმს, რომელმაც წარმოშვა ეს ომი.

ლ. ტ.

თფილისის ზოგიერთ ქარხნების კომისიებზე.

ადგილობრივი კომისიები (თფილისის დეპო, სპილენძის ქარხანა, ქალაქის ელექტრონის სადგური და სხვ.), მიუხედავად მათი დიდი მნიშვნელობისა მუშების მოთხოვნა—მიღების საქმეში, მათი უნარისა და მოქმედების მხრივ განსაკუთრებული და უმნიშვნელო ყოფილა. დამახასიათებელია მათი დამოკიდებულება ადგილის მთხოვნელ მუშებთან. როდესაც თქვენ, უმუშევარი მიდიხართ ადგილისთვის,—ეინტერესებათ თქვენი პირადი ვინაობა... როდესაც თქვენ დარწმუნებული ხართ, რომ დაკარგული არ არის შენი წარსული და აწმყო. გაიელის ორი-სამი დღე და ეს „ამხანაგ-კომისიის წევრები" გაგზავნიან ბატონებთან: დეპოს უფროსთან, სპილენძის ქარხნის დირექტორთან, ელექტრონის სადგურის გამგესთან და გიწერენ ბარათს: „მიიღეთ თქვენი შეხედულებისამებრ" და ამით მოგიშორებენ თავიდან ეს „ამხანაგები".

მაგალითად, სპილენძის ქარხანაში სჭირდებათ მუშა წარმომადგენელი ბ. ახობაძე ვერ ასრულობს სკობელევის კანონის მიხედვით (საბჭოს წევრია).

თფილისის ელექტრონის სადგურის წარმომადგენელი ამხ. ანდრია გაკვრით გიპასუხებს: „სირცხვილია ეხლა ცუდათ ყოფნა—ქალაქი დიდიაო".

ამხანაგო-მკითხველნო, ეხლა თქვენ იკითხავთ: რაუნდა გახდეს უმუშევარი, თუ ყოველ დარგში ასეთი ამხანაგები იქნებიან სათავეში? ან იძლევიან იმის გარანტიას, რომ ამნაირათ ნიკოლოზის დროინდელი „შავი დავთრების" პრაქტიკა არ მეორდება? ასეთი დამოკიდებულებით უმზადებენ თუ არა ნიადაგს შტრეიკბრეხერობას?

მუშა მიტო.

**რკინის გზის მთავარი სახელოსნო.**

„ჩემი შენ გითხარი გული მოგიკალიო", ნათქვამია ქართული ანდაზა.

სწორეთ ასე იქცევა კ. მაჭარაძე. იხ. „ერთობა" № 150 ის ამბობს ბოლშევიკები უდისციპლინო ხალხიაო და მოყავს 16 სექტემბრის მიტინგი სახელოსნოში, რომელიც გაიმართა ბოლშევიკების ხელმძღვანელობით და დაიმალა მენშევიკების თაობით. როგორ და რანაირათ მოეწყო ეს მიტინგი ამის აღწერას არ შეუდგები მხოლოთ ვიტყვი, რომ ეს მიტინგი იყო მოწყობილი ერთი ნაწილი მუშებისაგან და მათი სურვილებით. ასე იყო თუ ისე ეს მიტინგი შესდგა და როგორც ყოველთვის ისე ახლაც მენშევიკ-მოწინავე მუშებს შეეშინდათ, რომ მათ ხელქვეით მუშების სიმართლე არ გაეგოთ. ამ სიმართლის თქმის ბოლშევიკების მხრიდგან მუდამ ეშინიათ მენშევიკ-მოწინავე მუშებს. ეს თუნდა ავიღოთ ამის დასამტკიცებლათ 14 სექტემბერში მათი მოწვეული ეგრეთ წოდებული მოწინავე მუშების „შემაერთებელი" კონფერენცია. ამ „კონფერენციაზე" ყველა მენშევიკი ორატორები თხოულობდენ, რომ წარსულს ნუ შევეხებითო, ვილაპარაკოთ მარტო შეერთებაზეო. ბოლშევიკი მუშები კი ყველა ამას თხოულობდენ, რომ აღვარებიათ ყველა წარსული შეცდომები და ისე მომავლისთვის აეცილებიათ თავიდან ის ცოდვები, რომლებიც ბლომათ მიუძღვით მენშევიკებს. ბოლშევიკებმა მიუთითეს კიდევ მენშევიკების ბევრ შეცდომებზე. და არც ერთხელ იმათ პასუხი არ გაუციათ, მხოლოდ ერთმა „მოწინავე" მუშამ (საბჭოს წევრია) სთქვა, რომ ბოლშევიკები მცარცველებიაო, რომელზედაც შესაფერი პასუხი მიიღო.

ამისავე შეეშინდათ 16 სექტემბრის მიტინგზე. თორემ რა მოსაყვანია ის რომ მიტინგი იმისთვის დაუშალეთ, რომ წარმოებას აჩერებსო. როგორ, ამხ. კ. მაჭარაძე, როცა ეს მენშევიკების მიერ ხდება, წარმოებას არ აჩერებს და როცა ეს ბოლშევიკი მუშების სურვილით იმართება მაშინ წარმოება ღუპდება?

ეს არ არის მართალი. ეს სიტყვის ბანზე აგდებაა და მეტი არაფერი. ჩვენმა მოწინავე მუშებმა სწორეთ აქ გამოიჩინეს უკულტურობა და უდისციპლინობა.

რამდენიმე მენშევიკი მუშა გამოეყო მიტინგს. წავიდნენ და შექმნეს ქვაბების რახუნი ისე, რომ სმენა არ იყო. აი ამხ. კ. მაჭარაძე, ობსტრუქცია ამას ქვია, მერე როგორი, რომელიც ჯერ არავის სმენია.

ამის შემდეგ შეიძლება თქვენსა და ბოლშევიკებ შორის მოხდა შეჯახებები, როგორც აუცილებლათ გამოიწვევდა ზემოთ ჩამოთვლილი თქვენი მოქმედება. [...]ამ ყოველ შემთხვევაში ეს ობსტრუქ[...] იქნებოდა. ასე ამხანაგო, ჯერ სი[...] მნიშვნელობა უნდა იცოდე და [...]სე უნდა იხმარო. მართალია სი[...] ობსტრუქცია ქართული არ არის, [...] მაინც თავის ალაგას უნდა ხმა[...].

[...] ამბობს, რომ ბოლშევიკმა [...]ლანძღესო, ძველი წესების გამმაგრებელი და დამცველი გვიწოდესო. მე ვიტყვი, რომ ლანძღვა გინება—კარგი არ არის - არც ერთმა ასე თუ ისე კულტურულმა კაცმა ლანძღვა გინებით და ცემა ტყეპით არ უნდა მიმართოს მოწინააღმდეგეს. მაგრამ რაც თქვენ ურიოების ცემა დაიწყეთ თავში მთელ მიტინგს და ხელი შეუშალეთ პატივცემულ ორატორს და მოუსპეთ საშვალება თავის აზრის გამოთქმის და მუშებს კიდევ მოსმენის, ამის შემდეგ თქვენ კიდევ უფლება გაქვთ სხვის ზნეობაზე ილაპარაკოთ?!

მაჭარაძე ამბობს: ამის შემდეგ შეუძლია კიდევ ვინმემ სთქვას, რომ ბოლშევიკებს შეერთება უნდათო? არა და არაო და ამბობს „კუზიანს საფლავი გაასწორებსო".

უბედურება ეს არის, რომ კუზიანს საფლავი მაინც ასწორებს. და თქვენ ვერც საფლავი გასწორებთ. თქვენი მოქმედობის წყალობით და ბურჟუაზიის კუდში ჩაჩხალით მიდით კორნილოვის გათხრილ დიდ სასაფლაოსთან, მაგრამ ჭკუა მაინც ვერ ისწავლეთ.

გ. ჩხეიძე.

# პროვინციის ცხოვრება.

1. ს ა მ ი ქ ა ო (სამტრედიის რაიონი). აქ არსებობს ს. დ. ძირითადი „იაჩეიკა", ამ იაჩეიკაში შედის მუშა, დიაკონი, ვაჭარი, მასწავლებელი და სხვა ძნელი სათქმელია. თუ ეს „იაჩეიკა" რომელი პარტიისაა. წევრთ რომ სათითაოთ კითხოთ, გეტყვიან: სოციალდემოკრატი ვართ. ამ „აჩეიკაში" ამ სტრიქონების დამწერიც მონაწილეობას ვიღებდი დღემდის, მაგრამ იქ სოციალდემოკრატიული ვერაფერი დავინახე. ერთხელ ასეთი შემთხვევაც იყო: პარტიის რაიონული კომიტეტის პასუხის მგებელმა პროპაგანდისტმა ითხოვა, რომ სოფლის ორგანიზაციის რაიდენ მე ადგილობრივი პროპაგანდისტი აერჩია ადგილობრივ მუშაობისათვის. სხვათა შორის მეც დამასახელეს, რაზედაც ერთმა აქაურმა ვაჭარმა განაცხადა: ეგ ბოლშევიკია და მაგისი პროპაგანდისტათ დანიშვნა არ ვარგაო. მეორემ კიდევ ცილი დამწამა, დეზერტირიაო. მაგრამ მიუხედავათ ამისა ხმის უმეტესობით მაინც ამირჩიეს. აქ საბაზრო მოედანზე ხშირათ იმართება კამათი ომის შესახებ, დროებითი მთავრობაზე და სხვ. რომელშიაც მონაწილეობას იღებენ: ადგილობრივი ვაჭბატონები, მასწავლებლები კირილე წივწივაძე, აკაკი მიქაძე და სხვ. რომელთა წინააღმდეგ, როგორც ბოლშევიკს რამდენჯერმე მომიხდა გამოსვლა.

ამ ვითომდა ს.-დ.-ის სიტყვით, ბოლშევიკებმა აგიტაცია გაწიეს ფრონტზე, რომ ომს თავი დაანებეთ: იარაღი დაყარეთ, შინ წადითო და ამის გამო სალდათები მართლაც გარბიანო. ასეთი ცილის წამებით და ყალბი ცნობებით უმასპინძლდებიან ეს ახალი გამოჩეკილი მენშევიკები აქაურ ხალხს. ბევრი რამ ითქვა მათ წინააღმდეგაც, მაგრამ ისინი დღემდი მაინც თავისას გაიძახიან და ამნაირათ აქაურობას სწამლავენ. მათ აყვენ იაჩეიკის სხვა წევრებიც და დღემდე პარტიის გარეშე მყოფი კირილეც, რომელიც 26 აგვისტოს ორგანიზაციაში მიიღეს კიდეც. კირილე წივწივაძეს დღემდის არ ესაჭიროებოდა პარტია, მაგრამ დღეს იგი ალაგის დასაკავებლად დასჭირდა და სარგებლობს კიდეც 26 აგვისტოს კრებაზე მიხა მიქაძემ წინადადებაც შემოიტანა ჩემზე, რომ როგორც ბოლშევიკი ორგანიზაციიდან გავსულიყავ. იმას იმით ასაბუთებდა, რომ მისი სიტყვით ბოლშევიკები მტერია რევოლიუციისო. სოფლად დღეს ბოლშევიკს მენშევიკისგან არ არჩევენ და არც არიან გათიშულ-გაყოფილნი და რატომ მოუვიდა ასეთი აზრი ხსენებულ მიქაძეს, ალახმა უწყის. რა ეთქმის ასეთ მოამლულ ცალკერძ პროვინციელ მენშევიკებს, ეს მკითხველმა საჯოს. მე კი ჩემთავათ ვიტყოდი რომ მენშევიკებმა ზურგი შეაქციეს გლეხკაცობას, მუშებს და პროლეტარიატს და მიეკედლენ ბურჟუაზიას, ხოლო ჩვენ ჩვენს წმინდა გზას ვადგივართ, შეუდრეკელად მივუძღვით რევოლიუციას წინ ჩვენი სისხლით წაწერილი ინტერნაციონალ დროშით ხელში. ხალხს მომავალი დაანახვებს პირნათლათ, თუ ვინ დგას სწორ გზაზე და ვინ არა.

მ ლალმიწელი.

ს. ს ა ჭ ა მ ი ა ს ს ე რ ი (გურია) 8 სექტემბერს შედგა სოფლის სახალხო მიტინგი ექვსი თვის რევოლიუციის სადღესასწაულოთ. მიტინგმა თავჯდომარეთ აირჩია მასწავლებელი ს. რამიშვილი გამოვიდა რიგი ორატორებისა: ლენინზეს განვლილი ხნა ქება დიდებით, მოიხსენიეს მენშევიკ-ესერების პოლიტიკა წასულ ხანაში. გააცნეს ხალხს ყოველივე ცალმხრივათ და არც კი წითლდებოდენ. ალ. ხუნდაძემ (ესერია) ცოტა კრიტიკა გაუკეთა მენშევიკ-ესერების მოქმედებას მან სთქვა მენშევიკ-ესერები ცდილობენ, რომ რომ თავის შეცდომა გაასწორონ და ბოლშევიკურ ტაქტიკას გაყვენ ამ ბოლო დროსო, თუმცა ლა ორატორმა ბოლშევიკები თვითონვე მოიხსენია უდიერათ. მან 3—5 ივლისის მოქმედებას უწოდა აჯანყება და კონტრ-რევოლიუციის სასარგებლოთ გამოსვლა. ესერის წინააღმდეგ გამოვიდა ისევ პირველი ორატორი, რომელმაც დაიწყო იმის მტკიცება, რომ ჩვენ კი არა ბოლშევიკები მოგვყვებიან ჩვენო. აი ეს იყო მიზეზი, რომ ხალხში შეიქმნა მითქმა-მოთქმა და გაუგებრობა. რომ დავინახე, რომ ხალხისთვის გაუგებარი იყო, თუ ვინ იყვენ ეს ბოლშევიკები და როგორ მოხდა, რომ მათი რევოლიუციონერობა ვითომ კონტრ-რევოლიუციის სასარგებლო გამოდგა, როგორც მოწინააღმდეგენი სწამებენ მათ, ამისთვის მოვინდომე გაუგებრობა გამეფანტა ხალხში. ვითხოვე სიტყვა. დავიწყე თუ არა ლაპარაკი, ა. ხ. ლადიკო ყენიამ, ს. საჭამია-სერის წარმომადგენელმა, რომელიც შედის გურიის პარტიულ კომიტეტში და რომელიც პირადადაც კარგათ მიცნობს, თავმჯდომარეს გადასცა, რომ მე ბოლშევიკი ვარ. თავმჯდომარემ გაიგო თუ არა ეს, მაშინვე შემაწყვეტია სიტყვა. მიზეზათ კრების დახურვა დაასახელა, მაშინ როდესაც ჩემს შემდეგ მენშევიკ ორატორს მისცა სიტყვის უფლება. აი ასე იცავენ ჩვენი მენშევიკები სიტყვის თავისუფლებას. სოფლათ ვილაცის ეშინიათ, ან ეხათრებათ, არ უნდათ რომ აწყენინონ! კრება ისე დაიშალა, რომ არავითარი რეზოლიუცია არ გამოუტანიათ. უკანასკნელათ ვეკითხები საჭამიას სერის ჯგუფს: რა მიზეზი იყო 1) რომ მე სიტყვის ნება არ მომცეს რვა ეკენისთვეს? 2) როცა ჩომეთში ირჩეოდა საქმე გიორგაძის, რომელსაც ბრალდებოდა ცოლის სიკვდილი, რატომ ჩემი წერილობითი განცხადება არ გამოაცხადეთ კრებაზე? 3) როცა მე წარმოვაყენე ისეთი პირები, რომლებიც ავრცელებდა პროვოკაციულ ხმებს უკანასკნელი პოლიტიკური ამბების შესახებ, რატომ უყურადღებოთ დატოვეთ?

სათადარიგო ჯარის კაცი

ირაკლი ვაჩეიშვილი.

1917 წლის 4 ივნისიდან
ამხ. მ. ცხაკაიასა და ფილიპე მახარაძის
რედაქტორობით გამოდის სოც.-დემოკრატ. მუშმრავლესების გაზეთი
**ბრძოლა,**
რომლის პირველ ნომერში მოთავსებულია რუსეთის ს. დ. მ. პ. საერთო კონფერენციის **ყველა რეზოლიუციები.**
რედაქცია მიუწოდებს ყველა ამხანაგებს ყოველგვარი დახმარება აღმოუჩინონ „ბრძოლას".
გაზეთი გამოვა ჯერჯერობით კვირაში ერთხელ.
რედაქციის ადრესი: თფილისი, გიორგის ქუჩა № 1. გაზ. „კავკაზსკი რაბოჩის" რედაქციაში. ბარათები, წერილები და ფული უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: Тифлисъ Редакція „Кавказскій Рабочій", Георгіевская ул. № 1. для «Брдзола».
კანტორა ღიაა ყოველ დღე, გარდა კვირა უქმეებისა დილის 10—3 საათამდე და საღამოს 8—9 საათ. რედაქცია: დილის 10 საათ. 2 საათ. კანტორა კვირა უქმე დღეებში ღიაა მხოლოთ დილის 10—12 საათ.

Электропечатня газ. [...] Листокъ» Х. Г. Хачатурова, Крузенштернская, 4.